საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 30 აპრილი, 2015 წელი.

№78 (7723)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

„ამერიკის მისია სამყაროს გათახსირებაა!“

ვინ ეთანხმება დიკენსს? 3

პრემიერი ნიდერლანდების სამეფოს სენატის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნიდერლანდების სამეფოს სენატის პრეზიდენტს ანკი ბრუკერს-კნოლს შეხვდა.

შეხვედრის ძირითადი თემები ორი ქვეყნის ურთიერთობების საკითხები და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია იყო.

მხარეებმა თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე გაამახვილეს ყურადღება. აღინიშნა, რომ ნიდერლანდების სამეფოს ურთიერთობა საქართველოსთან დინამიურია და მოიცავს მრავალ სფეროს, მათ შორის, ყველაზე აქტიურია ეკონომიკური და განვითარების პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო რეგიონული უსაფრთხოების თემებს. განიხილეს ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული ვითარება და ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას საქართველო.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა ნიდერლანდების სამეფოს სენატის პრეზიდენტს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა, რაც საქართველოს მტკიცე მხარდაჭერის გამოვლინებად შეაფასა.

„ისლამური სახელმწიფო“ ახალი დილემის წინაშე გვაყენებს 4



დიმა ჯაიანი:

ყველა საქმეს გამოიძიებენ! ყველაფერს 2 პასუხი უნდა გაეცეს!

ქართული ეკონომიკის ნეოკოლონიური მდგომარეობა და უცხოელთა გამოცდილება 5

◎ დღის ამოჭრაზურიდან

აბა, ჰე, ქალბატონო ირმა ინაშვილო, საკაანთ ბიჭი საზღვარზეა!..

— აბა ჰე, ძვირფასო ირმა, „პატრიოტთა ალიანსის“ შეუდრეკელო ჟანა დარკო, რახან „ოცნების“ მართლაც უუნარო მთავრობას ვერა და ვერ ჩამოუყვანია ძებნილი სააკაშვილი, იქნებ გესარგებლათ ამჟამად მისი, აგერ აქვე, ბაქოში ყოფნით და, თქვენი პირობისდა თანახმად, პირადად ჩამოგეთრიათ ეს პოლიტიკური არამზადა თბილისში, რითაც, პრაქტიკულად, საქვეყნოდ დაადასტურებდით თქვენს დიდ ქართველ სიტყვის ქალობას.

წინასწარ დიდი მადლობა მოგვიხსენებია უბადლო ვაჟკაცობისთვის!

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრემიერი პრეზიდენტს და პარლამენტს მიმართავს, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება მაქსიმალურად დაჩქარდეს

როგორც ღარიბაშვილმა განაცხადა, უახლოესი პერიოდის განმავლობაში დაგეგმილია უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები, მათ შორის, EBRD-ის შეხვედრა თბილისში, აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგის სამიტი და არაერთი ვიზიტი.

„ამ გარემოებების გათვალისწინებით, მინდა, მივმართო თხოვნით საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტს – ამ სიტუაციის გათვალისწინებით, მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადებში მოხდეს საქართველოს მთავრობისთვის ნდობის ხელახალი გამოცხადება და უკვე ამ კვირაში, თუ ეს შესაძლებელი გახდება, დასრულდეს შესაბამისი პროცედურები, რა თქმა უნდა, კანონის შესაბამისად. პარლამენტი ხელახლა გამოუცხადებს ნდობას საქართველოს მთავრობას და პოლიტიკური გუნდი ჩვეულ რეჟიმში მუშაობას გააგრძელებს. ჩვენ გაქვს ძალიან ამბიციური გეგმა და რეფორმები, რასაც 24-საათიანი მუშაობა, ერთიანი ძალისხმევით გადაწყვეტა სჭირდება. მე მინდა, მივმართო საზოგადოებას და დავარწმუნო, ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ხორციელდება ჩვენს გუნდში, ერთ მიზანს ემსახურება – დაჩქარდეს რეფორმები და კიდევ უფრო მეტი პოზიტიური ცვლილებები განხორციელდეს“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„მთავრობაში შეიცვალა მე-7 მინისტრი, ანუ მინისტრთა კაბინეტის 1/3. საქართველოს კონსტიტუციით, მთავრობას საკანონმდებლო ორგანომ ხელახალი ნდობა უნდა გამოუცხადოს. მინდა, ყველას ვუთხრა, რომ სახეზე გვაქვს აბსოლუტურად ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი – ცვლილებები მთავრობაში არის ბუნებრივი, რადგან დინამიურ ვითარებაში მთავრობა მოვლენათა განვითარების ადეკვატური უნდა იყოს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

როგორც ღარიბაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ არა ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები, მთავრობის უახლოეს სხდომაზე ორი – შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის რეფორმის – უმნიშვნელოვანესი რეფორმის გატანას აპირებდა, თუმცა, პროცესი არ შეფერხდება.

„ეს არის ტექნიკური საკითხი და საკანონმდებლო ორგანოს მიერ ნდობის გამოცხადებისთანავე, ეს საკითხი მთავრობის პირველსავე სხდომაზე განიხილება და მიიღება. ამით შესრულდება კიდევ ერთი დაპირება, რომელიც ჩვენმა გუნდმა ჯერ კიდევ არჩევნებამდე მივეცით მოსახლეობას“, – განაცხადა ღარიბაშვილმა და ყველა პოლიტიკურ ძალას და მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა.

◎ კრიზისი

მეზობელი ქვეყნის ეროვნული ვალუტებიც უფასურდება

ლარის გაუფასურების პარალელურად, დოლართან მიმართებაში რყევას განაგრძობს მეზობელი ქვეყნების ეროვნული ვალუტებიც.

დღევანდელი მონაცემებით (2014 წლის სექტემბერის მონაცემებთან შედარებით), რუსული რუბლი 31%-ით არის გაუფასურებული, უკრაინული გრივნა – 68% -ით. შედარებით სტაბილიზაციის ტენდენციით ხასიათდება სომხური დრამი, რომელიც მხოლოდ 16%-ით არის გაუფასურებული, ხოლო აზერბაიჯანული მანათი (34%), თურქული ლირა (17%) და ლარი (32%) გაუფასურებას კვლავ განაგრძობენ.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 24 თებერვლისთვის, 2014 წლის სექტემბერთან შედარებით, თურქული ლირის 11%-ით, რუსული რუბლის 66%-ით, აზერბაიჯანული მანათის 32%-ით (აზერბაიჯანული მანათი ერთ ღამეში 34%-ით გაუფასურდა), სომხური დრამის 18%-ით, ლარის 26.%-ითა და უკრაინული გრივნას 107%-ით გაუფასურება დაფიქსირდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ეკონომიკური ანალიტიკოსის ნუცა თოხაძის ინფორმაციით, საქართველოში ექსპორტის ზრდის ტემპის კლება ივნისიდან ფიქსირდება. მაისში 12%-იანი ზრდა მოხდა, ივნისში-5%-იანი, ივლისში-3%-იანი, ხოლო აგვისტოში კი უკვე 12%-იანი კლება დაფიქსირდა და მას შემდეგ ექსპორტი სულ კლების ტენდენციით ხასიათდება.

ნუცა თოხაძის თქმით, 2015 წლის იანვარი-მარტის მდგომარეობით ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 28%-ით შემცირდა, რაც დიდი მაჩვენებელია და ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას მნიშვნელოვნად აფერხებს. რაც შეეხება იმპორტს, რომელიც უცხოური ვალუტის გადინების წყაროა, მისი კლების ტენდენცია მხოლოდ 2015 წლის იანვრიდან დაიწყო და პირველი კვარტლის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მხოლოდ 3%-ით შემცირდა. ამ მონაცემებიდან უკვე ჩანს, რომ უცხოური ვალუტის მიწოდებამოთხოვნას შორის დიდი დისბალანსია, რასაც სხვა წყაროებიდან (ტურიზმი, ინვესტიციები, გზავნილები და საგარეო ვალი) მიღებული სავალუტო შემოდინებები ჯერჯერობით ვერ აბალანსებს, რაც შესაბამისად იწვევს ლარის გაუფასურებასაც.

„უცხოური ვალუტის მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული ეს დისბალანსი მართალია გარკვეულწილად გარე ფაქტორებით არის გამოწვეული, თუმცა, ამის ნაწილობრივ გასაბათილებლად მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა აქამდეც შესაძლებელი იყო. ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებული პრობლემები ქვეყანაში უკვე 5 თვეა, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. მართალია ამ თემის ირგვლივ ბევრია შეხვედრები და საუბარი, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად, თუმცა, ფაქტია დღეს, შედეგი არ ჩანს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ რაღაც სწორად ვერ კეთდება და გაცილებით მეტია სამუშაო ინვესტიციების, ექსპორტის და ტურისტების ზრდის კუთხით, რათა სავალუტო შემოდინებების ზრდა მოხდეს“, – აღნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ეკონომიკური ანალიტიკოსი ნუცა თოხაძე.

აზერბაიჯანის პროკურატურაში მიხეილ სააკაშვილის დაკავებასა და ექსტრადირებაზე მოთხოვნა გაგზავნილია

მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძის თქმით, **„საქართველოს პროკურატურის მიერ აზერბაიჯანის პროკურატურაში გაგზავნილია მოთხოვნა ექსპრეზიდენტის დაკავების და ექსტრადირების შესახებ, რისი საფუძველიც არის აზერბაიჯანსა და საქართველოს პროკურატურას შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატი.** თუმცა, ჯერჯერობით, აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურიდან პასუხი არ მიგვიღია. კონკრეტული ვადა პასუხთან დაკავშირებით განსაზღვრული არ არის, თუმცა, როგორც ჩანს, შესაბამისი რეაგირება არ მომხდარა“, – აღნიშნა შოთაძემ.

შოთაძის განცხადებით, მიუხედავად ამისა, თქმა, რომ აზერბაიჯანმა საქართველოს უარი ან თანხმობა უთხრა ბრალდებულის ექსტრადირებაზე, შესაბამისი ოფიციალური წერილის მიღებამდე არ შეუძლია.

სააკაშვილი აზერბაიჯანის დედაქალაქში ექსპრეზიდენტებისა და მთავრობის მეთაურთა სამიტზე დასასწრებად ჩავიდა. მისი თქმით, ბაქოში უკრაინის ოფიციალური პირის სტატუსითაც იმყოფება.

◎ ცარიელი სიტყვებით „იბლატაოს“ უგულავამ...

დიმა ჯაიანი: ყველა საქმეს გამოიძიებენ! ყველაფერს პასუხი უნდა გაეცეს!

ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ საკითხებზე აფხაზეთის მთავრობის კულტურისა და განათლების მინისტრი დიმა ჯაიანი გვესაუბრება

– „როგორც ნაციონალური მოძრაობა მობრუნდება, ისე მობრუნდეს თქვენი დამაწყევარი!“ – ეს განცხადება დაახლოებით ერთი წლის წინათ გააკეთეთ. მას მერე ბევრი რამ შეიცვალა, ერთი შეხედვით, ნაციონალებმა გაიმყარეს პოზიციები. დღეს რას ფიქრობთ ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნებაზე?

– ნაციონალებმა პოზიციები კი არ გაიმყარეს, თავი დაიმარხეს. ტუტუცი ადამიანები რას ილაპარაკებენ – რა მნიშვნელობა აქვს?! ნაციონალები, მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვამბობ, ხელისუფლებაში ვერასდროს ვერ დაბრუნდებიან, ვერასდროს! გარდაცვლილი ადამიანები არ ბრუნდებიან, ქრისტე უნდა იყო მაშინ. გამოვრიცხავ მათ დაბრუნებას. ქართველმა ერმა მაინც აპატია მათ რაღაცები, მაგრამ არ ისვენებენ, ალბათ უნდათ, რომ არ აპატიონ და ამას გააკეთებს საქართველოს მოსახლეობა და ამის მეშინია, იმიტომ, რომ არ ვიცი, ამას როგორ გააკეთებენ.

მაგალითად, მე სისხლისმოყვარული კაცი არ ვარ, მსახიობი ვარ და ადამიანების სიყვარულზე მაქვს აგებული მთელი ჩემი ცხოვრება, ვცდილობ, ასე იყოს ყველა, თორემ პირადად მე გამიკეთეს ისეთი რამეები, საპასუხოდ შემიძლია ყველაფერი გავაკეთო, მაგრამ როგორ შეიძლება ახლა ამაზე ფიქრი, თუმცა, ამდენს ვერ ხვდებიან!

– 17 აპრილს ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე გიგი უგულავამ და ვანო მერაბიშვილმა ბოლომდე „იბლატავეს“. უგულავამ თქვა, რომ სასამართლო ივანიშვილის „ჩმორი“ გახდა. „საერთო სასამართლოები კონსტიტუციაზე დავლურს ცეკვავს, მანტია არის ჩვეულებრივი ჭინჭი, ჭილოფი იქნება თუ ტილო, ეს თქვენზეა დამოკიდებული. ამ ტაკიმასხარაობას ჰქვია სამართლიანობის აღდგენა. თევზი ყროლდება და ივანიშვილის თაოსნობით მას თავი უკვე აუყროლდა, სანამ ტანიც აუყროლდება, უნდა ჩამოვაშოროთ ქვეყანას. თქვენც ნუ ჩაყვებით ამ ჭილოფით“, დღესაც ყველაფერი გასდის... გიგი უგულავას, ამის შემდეგაც უგულავამ და მერაბიშვილმა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვეს და იმავეზე მიუთითეს დარბაზში დამსწრეებს. ამდენს რომ ბედავს ეს ადამიანი, ვისი დამსახურებაა?

– ცდილობენ, გამოგიწვიონ, თოკზე არ ლაპარაკობენ იმ სახლში, სადაც თოკით ჩამომხრჩვალი ჰყავთ, მაგრამ ესენი მაინცდამაინც თოკს ახსენებენ. მთელი საქართველო ჩამოახრჩვეს თოკით და კიდევ თოკზე საუბრობენ. გამოდიან ტელევიზიებით და ხალხის სახელით საუბრობენ, ამ დროს ხალხი რომ აფურთხებთ, ეს არ იციან, ამას ვერ ხედავენ. ამათ უნდა ილაპარაკონ საკუთარი ოჯახების, ბიძაშვილების და მამიდაშვილების სახელით, ასეთები კი ჰყავთ ირგვლივ სულ 20-30 ადამიანი.

ნაციონალები ამბობენ, რომ ქვეყანაში არის დიქტატურა, არ არის დემოკრატია. ამბობენ, რომ საქართველოში არის დიქტატი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბიძინა ივანიშვილი, ამ დროს მოსამართლეს „ებლატავება“ გიგი უგულავა. ეს რომ არადემოკრატიული ქვეყანა იყოს, ასეთი რამე მოხდებოდა? ვინ „აბლატავებდა“ ციხეში მჯდომ ადამიანს?! ეს დემოკრატიული ქვეყანაა და რაც უნდა იმას ისაუბრებენ, ჰოდა, ისაუბროს უგულავამ.

ახლა სასამართლო სისტემაში ისეთი ქალბატონი მოვიდა, იმდენად კეთილშობილი, იმდენად ზუსტად იცის, რა არის სამართალი, რომ ამ ყველაფერს დაალაგებს. სამართალი იზეიმებს.

– მარტო ერთი კუბლაშვილი წავიდა სასამართლო სისტემიდან და მარტო მისი წასვლით, რამდენად წარმოგიდგენიათ, რომ ქვეყანაში სამართალი იზეიმებს? ყველა სხვა შემსრულებელი მოსამართლე ადგილებზეა დარჩენილი, ბატონო დიმა...

– ამ ადამიანების მოქცევა შეუძლია მხოლოდ ერთ ადამიანს – თავმჯდომარეს. თავმჯდომარეს ბევრი რამ შეუძლია, ისეთი ადამიანები, რომლებიც საკუთარ სინდისს ღალატობდნენ, უნდა გაუშვას. მე ხელს არ ვადებ ვინმეს, არც მივუთითებ ქალბატონ ნინოს, მაგრამ მე მგონია, რომ ეს ქალბატონი ისე გაუძღვება სასამართლოს, როგორც ამ ქვეყანას შეეფერება.

– მიუხედავად რაღაც ძვრებისა და მცდელობებისა, სამართლიანობის აღდგენა კვლავ შეუსრულებელ დაპირებათა რიცხვშია. რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

– ყველა საქმეს გამოიძიებენ, მე ამის მოლოდინი მაქვს, პოზიტიურად ვარ განწყობილი. ვხედავ, რომ აფრასიძეების საქმემ წაიწია წინ და მე ამით გახარებული ვარ. სამართლიანობა უნდა აღდგეს. მე მაინცდამაინც ვინმეს ჩაქოლვასა და ციხეში ჩასმაზე არ ვსაუბრობ, მაგრამ ამ ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ დამნაშავეები არიან და ბოდიში უნდა მოიხადონ. ეს საქართველოა და საქართველოში სამართალმა უნდა იზეიმოს.

– აფრასიძეების საქმე ახსენეთ. რა მოლოდინი გაქვთ თუნდაც ამ საქმეზე? საქმეების გამოძიებები იწყება, მაგრამ, როგორც წესი, არ სრულდება...

– აფრასიძეების საქმის გამოძიება აუცილებლად დასრულდება, იმდენი გაუგონარი რამაა ამ საქმეში, რომ სხვანაირად ვერც იქნება. აფრასიძეების ის ბიჭები გაიზარდნენ, ტყვიას რომ ესროდნენ, ოჯახის წევრები რომ ჩაუხოცეს, როცა უბრალოდ დაკავება შეეძლოთ... ამ ყველაფერს პასუხი უნდა გაეცეს. ეს საქმე მალე გაიხსნება.

– გახმაურებულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენები გაკმაყოფილებთ?

– მე მგონია, რომ „26 მაისი“ და „7 ნოემბერი“ უმაღლეს დონეზე უნდა გამოიძიონ.

– და ეს ამ პროკურატურის პირობებში შესაძლებლად მიგაჩნიათ?

– სავსებით შესაძლებელია.

– იმ პროკურორების პირობებში, რომლებიც „ნაცრეჟიმის“ შემსრულებლები იყვნენ?

– იმ ძველებსაც გაუშვებენ ნელ-ნელა, ასე, ყველაფერი ერთ დღეში არ ხდება. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, იმიტომ რომ უზენაეს სასამართლოში ღირსეული თავმჯდომარე გვყავს.

ესაუბრა
დიანა დადეშქელიანი

ვინ ეთანხმება დიკენსს?

„ამერიკის მისია სამყაროს გათახსირებაა!“

არ გეგონოთ, რომ ეს წინადადება „ცივი ომის“ დროინდელ პროპაგანდისტულ ყალიბში ჩამოსხმული დებულებაა, ანუ თეზისი იდეოლოგიური ინსტრუქციიდან, ამონარიდი ცეკას სახელმძღვანელო ცირკულარიდან; ან — ანდრეი ალექსანდროვ-აგენტოვის — მაღალი რანგის რეფერენტისა და თანაშემწის ნაჯახირევი ფრაზა რომელიღაც გენერალური მდივნის მოხსენებაში ჩასაკვეხებლად.

არა და არა!

ეს დებულება — **„ამერიკის მისია სამყაროს გათახსირებაა“** — ეკუთვნის უდიდეს ინგლისელ მწერალთაგან ერთ-ერთს — ჩარლზ ჯონ ჰაფერ დიკენსს.

ყოველ შემთხვევაში, მიაწერენ.

მაგალითად, ასეთ აზრზე დგას რუსულენოვან ელიტურ საზოგადოებაში მიღებული და დაფასებული კინოდრამატურგი, მხატვარი, რეჟისორი და მსახიობი ალექსანდრ ადაბაშიანი, რომელსაც ეს წინადადება ამოუკითხავს თავად ვოლკონსკის „მოგონებებში“: **„საიდან არის ეს ციტატა, თავად დიკენსმა დაწერა, თუ მის პერსონაჟთაგან რომელიმემ წარმოთქვა, ჩემთვის ცნობილი არ არის“.**

ამას ამბობს ადაბაშიანი. თავად ვოლკონსკის კი ეჭვი არ შეპარვია მის ავთენტურობაში, რადგან დიკენსის (თუ მისი პერსონაჟის) გამონათქვამი სრულად ესადაგებოდა გასული საუკუნის 20-იან წლებში ევროპულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ განწყობილებას: **„მაშინ ევროპა ჯერ კიდევ ირონიულად და ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს ამერიკის ექსტრავაგანტურობას, ისეთი დაკვირვებით უყურებდა, როგორც ტრავმატოლოგი აკრობატს: იხტუნე, საყვარელო, იკუნტრუშე, ბოლოს მაინც ჩემთან მოცოცდები“.**

არ მიცოცებულა.

არც ჯინსის შარვალში ჩატენილი საკუთარი ფეხების მუხლის თავები გადაუტყავებია.

პირიქით! პირიქით!

ევროპამ მოიზომა, მოირგო, ჩაიცვა, რადგან მოეწონა, რომელიღაც კლონდაიკელი ოქროსმაძიებლის მიერ სატომრე ჯვალოდან შეკერილი „სამუშაო უნიფორმა“.

მარტო ევროპამ?

„მოხუცებულები, ბავშვები, ქალები, კაცები, იაპონელები, იტალიელები, შვედები, ნიგერიელები, კათოლიკეები, მუსლიმები, ბუდისტები, წარმართები, ყველა, როგორც ერთი, ჯინსებში გამოეწყო“.

ჯინსებმა განდევნა ჩვენთვის ხილული სამყაროდან ჯერ „კლოში შარვლები“ — ჩაფართხუნებული შავი ერთფეროვნება, შემდეგ — სტილიაგების „ბუთილკა“ შარვლები, რომელთა სივიწროვეში ფეხების ჩატენვა ლამის აზიაცკებივით ტალკის დახმარებით იყო შესაძლებელი.

ჯინსებმა — ორიგინალურმა, თუ „ბოშების ბაზარზე“ გამოტანილმა ჯღანებმა, დაიპყრო სამომხმარებლო სამყარო.

ისევე, როგორც „მაკდონალდსის“ სწრაფი კვების ობიექტებმა, „ფასტ ფუდმა“.

ვინ წარმოიდგენდა, რომ თბილისში, შოთა რუსთაველის ძეგლსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის, მთაწმინდის ფონზე აღიმართებოდა „მაკდონალდსის“ პრეტენზიული სასახლე, როგორც დედაქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა?!

ვერ წარმოვიდგენდით, მაგრამ აშენდა. აშენდა და შევეჩვიეთ კიდეც.

კი შეებრძოლა იმთავითვე ცხონებული გურამ შარაძე ასეთ ალოგიკურობას — ეგებ ჯობდესო ამ ადგილზე რუსთაველის მუზეუმის აგება.

ამაოდ!

გაპარტახებული იყო იმ დროს საქართველო და მუზეუმის აშენების სახსრებს კი არა, ნისიად წამოღებული თურქმენეთის ბუნებრივი გაზის ვალი კისერზე ლოდივით ეკიდა, როგორც მდინარეში დასახრჩობად განწირულს.

ვერ გეტყვით, გამოდგება თუ არა გამამართლებელ არგუმენტად, მაგრამ ფაქტია, რომ იმ სიდუხჭირეში „მაკდონალდსის“ გარდა სხვა რეალური ინვესტორი საქართველოში შემოსვლას არც აპირებდა.

სხვა არავინ ჩანდა.

თორემ ვინ სულელს მოუვიდოდა აზრად ამ ადგილზე საზკვების რომელიმე ობიექტის დადგმა?! იყო ერთი გაჭირვებული რესტორანი „გემო“ აქვე, აწ უკვე აღებული საცხოვრებელი სახლის სარდაფში, მაგრამ მისი „იატაკქვეშა“ არსებობა ბოლშევიკების ავლაბრის არალეგალური სტამბის მსგავსად ქალაქის კოლორიტული შტრიხი უფრო იყო, ვიდრე თვალში გაჩხერილი სიმახინჯე.

შევეჩვიეთ-მეთქი „მაკდონალდსს“, გითხარით.

მაგრამ მარტო ჩვენ, თბილისელები?!

ტრადიციების ერთგული ევროპაც „გადაძოვა“. თუმცა, ინგლისურ „პაბებს“ ვერ მოერია.

ზემოთ უკვე ნახსენები ადაბაშიანი შენიშნავს, რომ ევროპაში პირველი „მაკდონალდსების“ გამოჩენამ ყველა გაახალისა — გაკოტრდებიანო უცებვე! ცხვირი აიბზუეს ევროპელებმა: „განა რომელიმე ჩვენგანი, ვინც გავიზარდეთ ჩვენს მშობლიურ (იტალიურ, ფრანგულ, ესპანურ, ინგლისურ, გერმანულ) სამზარეულოებზე, საკუთარი ნებით მიირთმევს ფუნთუშას, რომელსაც შუაგულში სხვისი ნაღეჭი რეზინი აქვს ჩადებული?!“

ეროვნული პროტესტის დონეზე აჰყავდათ „მაკდონალდსის“ მიუღებლობა.

შედეგად კი ევროპას მთელს სხეულზე ისე დააყარა ეს „ფასტფუდები“, როგორც მუწუკები ახალწვეულის ცხვირზე — პარიზშიც, ელისეს მინდვრებზე, რომშიც, ესპანეთის მოედანზე და პაწია ქალაქების ქუჩების გასწვრივ.

მიჩნეულია, რომ წარმატებული ახლადგახსნილი რესტორანიც კი სამი წლის შემდეგ კოტრდება. მაგრამ „მაკდონალდსის“ არსებობის მანძილზე არც ერთი რესტორანი არ დაუხურავთ.

სასწაულია?

არა. რადგან „მაკდონალდსი“ ნებისმიერ ზარალიან თავის ობიექტს სხვა ათასობით მისდაგვართა მოგების ხარჯზე ინახავს.

როგორ ჰგავს „მაშველი რგოლის“ ეს მეთოდი საბჭოთა კავშირის პერიოდში დოტაციური კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შენარჩუნების პრაქტიკას.

ახალი ხომ არაფერია ამ მზისქვეშეთში!

ეს, რაც შეეხება მატერიალურ მხარეს. ახლა სულერებასაც მივხედოთ, კულტურასა და ხელოვნებას, რომელიც ამერიკული მასკულტურის გავლენით საყოველთაო ნორმად იქნა აღიარებული და მსოფლიოში ეროვნული ნიჭიერების განმსაზღვრელადაც კი მოგვევლინა.



ძალიან ცდილობენ.

მაგალითები თვალწინ გვაქვს ყოველკვირეული „მაქსფაქტორების“, „ნიჭიერების“, შოუებისა და მეგაშოუების სახით, რომელთა ფორმაც კი (პროგრამებზე ვლაპარაკობ) აშშ-ის ტელეპრაქტიკიდან გადმოღებულ-გადმოტანილია, ცხადია, შესაბამისი ანაზღაურებით.

შინაარსითაც.

ქართული აქ პროვინციული მიბაძვის უმაღლესი დონეა, ხშირ შემთხვევაში, კივილის რეგისტრამდე ამაღლებული.

ყველა ენაზე აჟივჟივდნენ მიუზიკლების, ჰიტებისა და საუნდრეკების ამერიკული ინტონაციებით.

ენების გამდიდრება ახალ ფაზაში შევიდა.

ჯერ გავიხსენოთ: **„როცა მუსიკაში იტალია ლიდერობდა, მუსიკა იტალიურად „ალაპარაკდა“ — „ალეგრო“, „პრესტო“, „ვივაჩე“...** (მხიარულად, სწრაფად, ცოცხლად...). **საფრანგეთში ბალეტის აყვავებას მსოფლიოში ფრანგული ტერმინების დამკვიდრება მოჰყვა: „პა“ „ნაბიჯია, ბატმან“ — დაკაკუნება, „ფუეტე“ ზმნაა, რომელიც „მათრახის ცემას“ ნიშნავს, ჩიკორს რომ აბზრიალებს (ეგებ ვინმეს ახსოვს ბავშვების ეს გასართობი ბზრიალა).**

საბჭოთა კოსმოსური ლიდერობიდან ენებში „სპუტნიკი“ შემორჩა, პოლიტიკურიდან — „პერესტროიკა“ და ...„კალაშნიკოვი“.

ევროსაბჭომ ერთი ხანია, „ტროიკა“(!) აიკვიატა.

საყველპურო ყოველდღიურობაში მაღაზიები **„მარკეტებმა“** შეცვალა, **„ბუტიკებმა“**, ყიდვა — **„შოპინგმა“.**

დღეს მსოფლიო ინგლისურად, „ამერიკულ ინგლისურ“ ენაზე ლაპარაკობს: „მარკეტინგი“, „მენეჯმენტი“, „ბლოკბასტერი“, „თრილერი“, „როუდ-მუვი“ და — მიდი, ვასია!

თვალებს გრიმს ვერ გაუკეთებ (თეატრალთა პოპულაციაში გავრცელებული გამოთქმაა), ენას კი ძვალი არ აქვს: **„სეილი“, „სეივი“, „ასისტი“, „სელფი“** — გახსენდა მიუშვი! — ისეთი აჯაფსანდალია, ბაბაჯანას ქოშებივით ქართული ლექსიკის მდინარებაში რომ ჩაყარო, დატბორავს და აყროლდება.

სპორტულ პრესაში მოურიდებლად შემოიჭრა ტერმინი **„მუნდიალი“,** რომელიც ფრანგებმა ფეხბურთში მსოფლიო პირველობის აღსანიშნავად გამოიყენეს — ვიმეორებ, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის აღსანიშნავად. ჩვენმა უნახავებმა კი სპორტის ყველა სახეობაზე გაავრცელეს.

„გაათანამედროვეს“ თავიანთი ლექსიკური მარაგი! „გაამდიდრეს“ პირველწყაროს მნიშვნელობა! ხოლო ამ სიტყვის ფუძეს მეგრულიდან ქართულად ნუ მათარგმნინებთ, უხერხულია.

ანუ იმ დონის უზრდელობაა, „რუსთავი-2“-ის „ვანოს შოუში“ ანრი ჯოხაძემ რომ იკადრა გასულ პარასკევს...

ასეთი ენობრივი კაზუსები, ცალკეული ფაქტებია, სლენგისთვის დამახასიათებელი. უბედურება სისტემაა, რომელიც ენისა და ცხოვრების წესის გამალებულ ამერიკანიზაციაშია გამოხატული.

რა არის ასეთი გლობალური გავლენის მიზეზი?

მუვუსმინოთ ანალიტიკოსებს, რომლებიც ერთმანეთს ეთანხმებიან, რომ ამის უპირველესი მიზეზი არის აშშ-ის ძლიერი ეკონომიკა და მისი აღმატებული სამხედრო-ეკონომიკური კომპლექსი.

მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ისტორიის მანძილზე არანაკლებ წარმატებულმა იმპერიებმა (პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) ვერ მოახერხეს თავიანთი კოლონიების იმ ზომამდე ასიმილირება, რაც აშშ-მა დამოუკიდებელ ქვეყნებში (კოლონიებთან შედარებით დამოუკიდებელ სახელმწიფოებში) შეძლო.

მაშ, რა მოხდა?

ისტორიკოსები და, მათ შორის, ავტორიც, რომელიც უკვე რამდენჯერმე დავიმოწმე, დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ევროპელად ჩამოყალიბებას სჭირდება წლები. ჭეშმარიტი ინგლისელობის მისაღწევად აუცილებელია უდიდესი მოცულობის ცოდნის ათვისება, ჩვევებისა და პირობითობათა მთელი სისტემის შესისხლხორცება... საკუთარ მეორე ბუნებად ამ ყველაფრის გათავისება.

თვალსაჩინოებისთვის განგვიმარტავენ, რომ, მაგალითად, იტალიური აღორძინების ფერწერა შეიძლება გაიგო მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეისწავლი რომაულ მითოლოგიას, ბიბლიას, ისტორიას.

ასე თუ ისე მაინც.

და კიდევ უფრო გასაგებად: **„ევროპული კულტურა, როგორც თანატოლებს, ელაპარაკება მხოლოდ ხანდაზმულ, ცოდნით დამძიმებულ ადამიანებს, ვისთვისაც გასაგებია ასოცირებული აზროვნება, მინიშნება, ხელოვნების ენის კოდი“.**

მხატვრულ, მეტაფორულ აზროვნებაზეა ლაპარაკი, რომელიც **„რანკოვიჩ-ლომაიას ხროვის“ მიერ „რეფორმირებული“ ქართული საგანმანათლებლო სისტემაგამოვლილი თაობისთვის დაუძლეველ წინაღობად არის აღმართული.**

თუ ამ აზროვნებისა ვერაფერი გაიგო კომპიუტერსა და ინგლისურს დაუფლებულმა თაობამ, მართლა ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე!

ჩვენი უბედურებაა, და ხელი გინდა ამერიკისკენ გაიშვირე, გინდა ბანგლადეშისკენ, გინდა ევროკავშირის ფაფით სავსე ჯამი და „პურის საზეიმო ულუფა“ მოგაწოდონ ორი მთელი და ერთ მეოთხედი უნციის ოდენობით.

„ამ საოცარი სანახაობით შეძრული ოლივერი საცოდავად ატირდა: გაიფიქრა, და ეს სავსებით ბუნებრივი იყო, რომ საბჭომ რაღაც სასარგებლო მიზნების მისაღწევად მისი მოკვლა გადაწყვიტა, სხვა არაფრის გამო თავს არ გამოიდებდნენ მის გასასუქებლად.

— ნუ ტირი, ოლივერ, თორემ თვალები გაგიწითლდება. ჭამე შენი ფაფა და მადლობელი იყავი! - თქვა მისტერ ბამბლმა, — ...სასწავლებლად უნდა მიგაბარონ, ოლივერ.

— სასწავლებლად, სერ? — შეეკითხა აკანკალებული ოლივერი.

— დიახ, ოლივერ, — თქვა მისტერ ბამბლმა, - კეთილ და მოწყალე ჯენტლმენებს, რომლებიც მშობლების მაგივრობას გიწევენ, ოლივერ, რადგან საკუთარი არ გყავს, სურთ სასწავლებლად შენი მიბარება, შენი ფეხზე დაყენება, და შენგან ადამიანის შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მრევლს სამი ფუნტი და ათი შილინგი დაუჯდება!..

...ცრემლის ნაკადები ჩამოუწანწკარდა ლოყებზე საწყალ ბიჭს და მწარედ აქვითინდა იგი.

— გეყოფა, — თქვა მისტერ ბამბლმა..., — მოიწმინდე თვალები ქურთუკის კოშით და ნუ აწვეთებ ცრემლს ფაფაში. დიდი უგნურებაა ეს, ოლივერ.

ეს მართლაც უგნურება იყო, რადგან ფაფაში წყალი ისედაც საკმარისად იყო“. (ჩარლზ დიკენსი, „ოლივერ ტვისტის თავგადასავალი“).

რა მინიშნებაა დაშიფრული ამ ნაწყვეტში, განათლებულ მკითხველს განმარტება არ სჭირდება: სამადლოდ მოწოდებული ფაფის დანახვაზე ჩვენც გვდის ქვეშევრდომული ერთგულების ცრემლები.

ფაფა კი წყალწყალაა!

არმაზ სანეგლიძე

„ისლამური სახელმწიფო“ ახალი დილემის წინაშე გვაყენებს

რას არ ამბობენ ქართველი ექსპერტები სირიაში წასულ ქართველებზე, რატომ მიანიჭა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის ფედერაციის 11 ათასზე მეტ მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა, რომლებიც დღეს სირიაში იბრძვიან და რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ შექმნილი სიტუაციის პრევენციისთვის?

„რეპორტიორს“ ექსპერტი კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში შოთა აფხაიძე ესაუბრა:

— დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი — რამდენი ქართველი მებრძოლია სირიაში წასული საომრად და რამდენი ირიცხება „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში. სხვადასხვა ექსპერტები ამბობენ, რომ 100-მდეა, ხელისუფლება ფრთხილობს და უმეტესად დუმს, რის გამოც ზუსტი ინფორმაცია მოსახლეობისთვის ხელმიუწვდომელია...

— ხელისუფლების პოზიცია გასაგებია, მაგრამ რატომ არ საუბრობენ ამ საკითხებზე ექსპერტები ღიად?

— ის ექსპერტები, რომლებიც ამ და მსგავსი საკითხების კვლევით არიან დაკავებული, მიკერძოებულები არიან.

— რატომ?

— პირდაპირ ვიტყვი, სააკაშვილის ხელისუფლების დროს, მისი სპეცსამსახურები ხელს უწყობდნენ ჩრდილოკავკასიიდან ახალგაზრდების შემოყვანას. გარკვეული ბაზა იყო მათთვის შექმნილი, რომ მოემზადებინათ დივერსიული და ტერორისტული აქტების განსახორციელებლად ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, რუსეთის ტერიტორიაზე. ამან გააძლიერა საქართველოში სალაფიტური თემები. ასე იქცა ვაჰაბიტი მებრძოლების პლაცდარმად საქართველოს ტერიტორია — საუბარია პანკისის ხეობაზე, შემდეგ ამას დაემატა ქვემო ქართლი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ჩვენ არაერთი ფაქტი გვაქვს, რომ ჩრდილოკავკასიიდან ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებს გადმოჰყავდათ, ეხმარებოდნენ გადმოყვანაში ჩეჩნეთიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან და ა.შ. მოჯაჰედებს და შემდეგ, მათ საქართველოს ტერიტორიაზე უწევდნენ როგორც ფულად, ასევე სხვა ტიპის დახმარებებს. ამ საქმეების სამოქმედო სქემების შედგენაში ამ საკითხზე მომუშავე ჩვენი ექსპერტების უმეტესობა მონაწილეობას იღებდა, მათ მიმართავდნენ რჩევებისთვის ქართული სპეცსამსახურები და დღეს, როცა ვხედავთ, რომ ამდენი ქართველი იბრძვის „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში, გაგვიკვირდა. სინამდვილეში, ეს არ უნდა გაგვკვირვებოდა. ამის საფუძველი თანდათან იქმნებოდა საქართველოში. ამ 9 წლის განმავლობაში მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა, რომ ვაჰაბიტური მოძრაობა აქ გაძლიერებულიყო. ეს ადამიანები საქართველოში არსებობდნენ და ახლა გამოაჩინა „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გაჩაღებულმა ბრძოლამ. უამრავი ადამიანი წავიდა, ორი ლიდერიც გვყავს — მარგოშვილი და თარხან ბათირაშვილი.

მნივშვნელოვანია ისიც, რომ ციფრის დაზუსტებისას მხედველობაში მივიღოთ ერთი ფაქტორი, ის, რასაც ხელისუფლება და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები მალავენ — 2008 წლიდან 2012 წლის ჩათვლით რუსეთის ფედერაციის 11 ათასზე მეტ მოქალაქეს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა.

— ეს ინფორმაცია როგორ მოიპოვეთ?

— იუსტიციის სამინისტროდან გამოვითხოვე ოფიციალური დოკუმენტი, სადაც ეს არის დაფიქსირებული. მათ შორის არიან ადამიანები, რომლებიც იბრძვიან სირიაში და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში. სააკაშვილმა ჩრდილო კავკასიის — დაღესტნის, ჩეჩნეთის და ინგუშეთის მოქალაქეებს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა.

— რაში სჭირდებოდა სააკაშვილს ეს ადამიანები?

— სააკაშვილს ისინი სჭირდებოდა კონკრეტული პოლიტიკური მიზნების — დივერსიული აქტების განსახორციელებლად. ეს ადამიანები საქართველოს პასპორტებით არიან შესულები „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში, ამ ქართული პასპორტით აქვთ გადაკვეთილი საქართველოს საზღვარი. ამას დაეფუძნა მერე სირიის გენშტაბის წარმომადგენლის ვალიდ აბაზას განცხადება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ საწვრთნელი ბაზებია.

— მერე ბაზა სადაა?

— ბაზა პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, ბაზა არ გულისხმობს მაინცდამაინც ტერიტორიას, სადაც მეომრების მომზადება მიმდინარეობს, მთლიანი საქართველოს ტერიტორია მოიაზრა მან ბაზად.

— დღევანდელი ხელისუფლების პოზიციას როგორ აფასებთ ამ საკითხთან მიმართებაში?

— საოცარი პოზიცია უჭირავს „ოცნების“ ხელისუფლებას. საკითხის პრევენციისთვის არ მიმდინარეობს აქტიური მოქმედება. მე არ ვგულისხმობ ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარებას, ეს ძალიან ცუდი იქნება ჩვენთვის. უნდა დავიწყოთ იდეოლოგიური, შემეცნებითი მუშაობა, სწორი რელიგიური განათლების მიცემა, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც მუსლიმანები ცხოვრობენ.

ასევე, მკაცრად უნდა გაკონტროლდეს შემომავალი ფინანსები, ამაში მოვიაზრებ საუდის არაბეთიდან და თურქეთიდან შემომავალ ფინანსურ ნაკადებს, რომლითაც ფინანსდება სალაფიტური თემები საქართველოში და ისლამური ორგანიზაციები, რაც დაანგრევს საქართველოს სახლემწიფოებრიობას და კონსტიტუციურ წყობას.

უნდა გაკონტროლდეს თურქული ჰუმანიტარული ორგანიზაციები, რომლებიც გახვეულები არიან ათას სკანდალში, ჩვენ ვიცით, რომ რამდენიმე მეჩეთი დააფინანსეს პანკისში და ააშენეს, ეს მოხდა ყატარის პრინცის დაფინანსებით. ეს მომენტებია საგულისხმო და ამას უნდა მიაქციოს სახელმწიფომ ყურადღება. გაამკაცრონ სასაზღვრო კონტროლი. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც იბრძვიან ისლამური სახელმწიფოს რიგებში, ამბობენ, რომ ჯიჰადი გადმოტანილი იქნება კავკასიაშიც და ეს ძირითადად მიმართული იქნება რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. ეს არის სრული აბსურდი, იმიტომ, რომ ეს ჯიჰადი მიმართული იქნება არა მარტო რუსეთის, არამედ საქართველოს წინააღმდეგაც, იმიტომ, რომ „ისლამური სახელმწიფოსძ მიზნებში შედის, გააერთიანონ მთელი მსოფლიო ხალიფატის შემადგენლობაში, რაც სისხლისღვრის გარეშე შეუძლებელია. ეს მთელ რეგიონს მოიცავს — სომხეთს, აზერბაიჯანს და ა.შ.

რა თქმა უნდა, ზრდასრულ ადამიანებს ვერ ავუკრძალავთ ქვეყნის ტერიტორიის დატოვებას, ეს იქნება ადამიანის უფლებების დარღვევა, მაგრამ გამკაცრებული საკანონმდებლო სანქციებით, ყველა იმ ადამიანზე, რომელიც წავა და იბრძოლებს „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში, უნდა დაწესდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ეს ადამიანები არ უნდა დაბრუნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

ის, რასაც სირიაში მებრძოლ ქართველებზე არ ამბობენ

— ასეთ რამესაც ამბობდნენ — ეს მეომრები დაბრუნდებიან და საქართველოში მოაწყობენ არაბულ გაზაფხულსო... მსგავსი რამის მოლოდინის საფუძველი არსებობს?

— სისულელეა, არანაირი პოლიტიკური ბრძოლა, აქციები და მსგავსი რამ არ იქნება, ამ მებრძოლებს აქვთ გააზრებული, რომ ისინი აწარმოებენ შეიარაღებულ ბრძოლას, გამოცხადებულია შეიარაღებული ჯიჰადი, საღვთო ომი, მსოფლიო ხალიფატის შექმნისთვის. იქნება უბრალოდ სისხლისმღვრელი ბრძოლა. არანაირი პოლიტიკური მოთხოვნა არ აინტერესებთ მათ.

— ქართველი მეომრების მოტივაციის შესახებაც ბევრი ვარაუდი გამოითქვა. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ, რა არის ამ მეომრების მოტივაცია?

— ყველას სხვადასხვა მოტივაცია აქვს, ნაწილის მოტივაცია ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორი, სიდუხჭირე, ბევრი მათგანი ლუკმაპურის საძებრადაა წასული. ასევე არის იდეოლოგიურ-რელიგიური ფაქტორიც. ეს მებრძოლები არიან ახალგაზრდები და „ისლამურ სახელმწიფოში“ ხედავენ გარკვეულ რომანტიზმსაც. პოზიტიურად არიან განწყობილები და თანაუგრძნობენ „ისლამურ სახელმწიფოს“, ესაა ძირითადად მათი მოტივაცია — გახდნენ შაჰიდები და რელიგიას შეწირულები.

ესაუბრა
დიანა ლიპარტელიანი

P. S. რამდენიმე დღის წინათ სირიაში საქართველოს მოქალაქეების გამგზავრების თემას თავდაცვის სამინისტრო გამოეხმაურა. უწყების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ამ ეტაპზე აქტიურად მუშავდება სტრატეგია, რომელმაც წამსვლელთა ნაკადი უნდა შეაჩეროს. მინისტრის მოადგილე ლევან ღირსიაშვილი ამბობს, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანა არ არის, რომელიც მსგავსი პრობლემის წინაშე დგას და ამ საკითხზე ევროპული სახელმწიფოებიც მუშაობენ.

„ისლამური სახელმწიფოს“ ინტერესების დასაცავად, ბრძოლებში საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობას ეხმაურება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეც. ირაკლი სესიაშვილი განმარტავს, რომ პანკისის ხეობაში მოსახლეობასთან ამ თემაზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. რაც შეეხება სირიიდან დევნილთა ნაკადის მიღებას, დეპუტატი ამბობს, რომ მთავრობა შესაბამის პოლიტიკას ამუშავებს.

დ. ლ

◎ კაკალ გულში

წერილოვანი თრაზები

● ხოკრიშვილი მიშას დროს რო „გადამდგარიყო“, ან სასწავლებლად წავიდოდა, ან — ოპოზიციაში. დღეს ეგეთები აღარ ხდება (ალასანიური გამონაკლისის გარდა).

● არ შეიძლება, თუნდაც გამონაკლისის სახით, რომ თანამდებობაზე დანიშნული ქართველ, არ გასუქდეს?

● ნამინისტრალმა ხოკრიშვილმა, ისე საწყლად წამოიტირა: „ვუბრუნდები ჩემს ოჯახსო“, რომ საპნის ოპერაში მეგონა თავი.

● დღეს ერთ ლარად შევიძინე ქონება — ორი შეკვრა ქაღალდის ხელსახოცი, სახელწოდებით „ფაფუკი“.

ატეხეთ ახლა ერთი ამბავი, — გამოსვლები და აქციები!

● რა საოცარი დასრულდა წლები! მინისტრთა წყება გაქრა, ვით ლანდი...

● აი, როგორ გადასცემს პოლიტიზებული პატრულის თანამშრომელი ხელმძღვანელობას, დაუმორჩილებელი მანქანის ნომერს, რომლის სერიაა „MIM“:

„მიშისტი“ პატრული — „მიშა-ირმა-მიშა“;

„ბიძინისტი“ პატრული — „მანანა-ირაკლი-მანანა“;

პრეზიდენტის გულშემატკივარი პატრული — „მარგველა-ირინა-მარგველა“...

● ლარის დაცემა გაგრძელდება, მანამ სანამ, ჩვენ არ ვიტყვით რომ ვართ პირუტყვები, მადლობელი ერი ნაციზმისადმი, მონები და მორჩილები დო-ლარებისადმი! სხვა შანსი არ არის, ან ვისაც ჩვენი უკულმართად მოქცევა სწადია, კუდით ქვა უნდა ვასროლინოთ!

● „ქართველი რეპერი“, დაახლოებით ისეთი პონტია, როგორიც „ამერიკული ჩაქაფული“...

● ლარი ხავსს ებღაუჭებოდაო!

● არჩევანის წინაშე ვდგავარ: მოძალადე გავხდე თუ მსხვერპლად ვიქცე?

● კობა სუბელიანი რო განათლების კანონის ინიციატორი იქნება, იმ ქვეყანაში ქე უნდა იყოს ნანა ყეინიშვილი კანონმდებელი.

(განათლებული და კანონმორჩილი კაცის სმაილიკი).

● ნარმანიას უთქვამს კვესიტაძისთვის: ნეპოტიზმი „რუსთავი-2“-ზე მოიკითხეთო, ვიღაცის ცოლის დაქალები რომ გყავთ სულ ეთერშიო.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი იდენტიფიცირებულია

ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი იდენტიფიცირებულია. რაც შეეხება დამკვეთს, იმ პირთა წრე გვეტყვის, ვის გარშემოც ეს პირი ტრიალებდა, — ამის შესახებ ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის ოჯახის ადვოკატმა მალხაზ სალაყაიამ განაცხადა.

ადვოკატის ინფორმაციით, გამოძიებას უკვე აქვს დასაბუთებული ვარაუდი მკვლელის ვინაობაზე.

რაც შეეხება კითხვას, დატოვა თუ არა ეჭვმიტანილმა საქართველოს ტერიტორია, ადვოკატის ინფორმაციით, ის გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ინფორმაციას ვერ დაადასტურებს.

ადვოკატმა მალხაზ სალაყაიამ ბესიკ ხარძიანის პირველი ოჯახის წევრების განცხადებებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მათ „სიტყვა გაექცათ“.

„ბესიკ ხარძიანის პირველ ვაჟს სიტყვა გაექცა, რადგან ნაკლებად იყო ის არგუმენტირებული. ის საფუძვლები რაც მას მოჰყავს, თითქოს რაღაც აქვს ნანახი, საკმარისი არ არის, რომ ბესიკ ხარძიანის მეუღლე ეკა ნონიკაშვილი დაადანაშაულოს. ამას გამოძიება გაარკვევს, რას ეფუძნებოდა ბატონი მიშა ხარძიანის გამონათქვამები“, — განაცხადა მალხაზ სალაყაიამ.

ინტერპრესი

ქართული ეკონომიკის ნეოკოლონიური მდგომარეობა და უცხოელთა გამოცდილება

სახელმწიფოს ეკონომიკის ეფექტიანი მართვა მთავრობის ფუნქციათა შორის ერთ-ერთი ურთულესია. მისი სირთულე იმითაც არის გამოწვეული, რომ მსოფლიოში არ არსებობს აღიარებული ეკონომიკური კონცეფცია, რომელიც მთლიანად მსოფლიოსა და ცალკეულ სახელმწიფოთა წარმატებული ეკონომიკური განვითარების გარანტია იქნებოდა. ამიტომ ხელისუფლებაში მოსვლის განზრახვის მქონე პოლიტიკური ძალების ვალია, შექმნან და ხალხს გააცნონ ისეთი ეკონომიკური პროგრამა, რომელშიც ქვეყნის ეკონომიკური აღმშენებლობის ორიენტირები თვალსაჩინოდ იქნება ჩამოყალიბებული იმ დადებით გამოცდილებათა საფუძველზე, რომელიც მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებს აქვთ.

საკუთარი მომავლის მიმართ პასუხისმგებლობის მქონე ამომრჩეველთა ვალი კი ის არის, რომ გაეცნონ ზემოაღნიშნულ პროგრამებს და იმ პოლიტიკურ ძალას დაუჭირონ მხარი, რომლის პროგრამაშიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უკეთეს პერსპექტივას დაინახავენ. პოლიტიკური ძალების მიმართ ამომრჩეველთა სწორედ ამგვარი მიდგომა განაპირობებს ქვეყნის ნამდვილ დემოკრატიულ განვითარებას, კლანური, ოლიგარქიული მმართველობისათვის სოციალური დასაყრდენის მოსპობას და სამართლიანობასა და კეთილდღეობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ეკონომიკაზე არაეკონომისტთა მსჯელობისას ეკონომიკური განათლების დიპლომებისა და სამეცნიერო ხარისხების მქონე ექსპერტებისგან ქილიკური დამოკიდებულება უცხო არ არის და მათ, როგორც წესი, არაკომპეტენტურობაში დებენ ბრალს, მაგრამ, როცა გვახსენდება ლიბერალისტ ეკონომისტთა უშუალო ხელმძღვანელობითა და მათი რჩევებით საქართველოს ეკონომიკის 25-წლიანი მმართველობის კატასტროფული შედეგები, მასობრივი უმუშევრობა, სიღატაკე და ამით გამოწვეული მკვიდრი მოსახლეობის უცხო ქვეყნებში ემიგრაციის მასშტაბი, ამ თემაზე მსჯელობის გაბედულება გვემატება, მითუმეტეს, ცნობილია, რომ არც სამხრეთ კორეის, ტაივანისა და სინგაპურის ეკონომიკურ სასწაულთა ავტორები იყვნენ პროფესიით ეკონომისტები, რითაც დაამტკიცეს, რომ კარგი შედეგების მომტან ეკონომიკურ რეფორმებს სწორი ეკონომიკური ხედვები სჭირდება და არა ოფისის კედლებზე ეკონომიკური განათლების მოწმობების გამოფენა.

უბრალოდ, ჩვენ იმის დამტკიცება გვინდა, რომ ქართული ეკონომიკის პროგრესის გზაზე დაყენებასა და მოდერნიზებას ველოსიპედის თავიდან გამოგონება არ სჭირდება და ეკონომიკური რეფორმების სწორედ ის კონცეფციაა გამოუყენებელი, რომელთა საფუძველზეც მოხერხდა ძალიან მოკლე დროში აზიის ჩამორჩენილ ქვეყნებში ეკონომიკური სასწაულების განხორციელება, რის გამოც მათ „აზიის ვეფხვებიც“ კი უწოდეს.

პირველად აქტიურად ეს მეთოდი იაპონიამ გამოსცადა. 1953 წელს იაპონიაში ამერიკის ოკუპაციური ხელისუფლების რეფორმები გაუქმდა. გადასახადები შემცირდა და ცენტრალიზებული დაგეგმვა გაძლიერდა, როგორც სოფლის მეურნეობის სექტორში, რომელმაც პროდუქციის წარმოება გააფართოვა, ასევე ფოლადის, ელექტროხელსაწყოების, ავტომობილების წარმოებასა და გემთმშენებლობაზე დიდი სუბსიდიები გამოიყო.

აღნიშნული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად 1959-61 წლებში იაპონიის მშპ-მ (მთლიანი შიდა პროდუქტი) 15-პროცენტიანი ყოველწლიური მატება მიიღო და 1965 წლიდან მომდევნო ხუთ წელს მშპ წელიწადში 10 პროცენტზე მეტით იზრდებოდა. იაპონიის ეკონომიკა მუდმივად რომ ამგვარი ტემპით ვერ განვითარდებოდა, ეს არც არის გასაკვირი. მას უკვე აქვს განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მაჩვენებლები, რაც წლიურად 1-2%-ს შეადგენს. ეკონომიკის ზრდის შემცირებაზე დიდი გავლენა მოახდინა ჩინეთის მასობრივად წარმოებული იაფი საქონლის მიმართ სხვა ქვეყნების საქონლის ნაკლებმა კონკურენტუნარიანობამაც, მაგრამ ფაქტია, რომ იაპონია თავისი ეკონომიკის სიძლიერით მსოფლიოს ხუთეულში შედის.

წარმოების სახელმწიფო რაციონალური დაგეგმარების წარმატებული ექსპერიმენტის გამორჩეული მაგალითია სამხრეთ კორეა. 60-იანი წლების დასაწყისში იგი იყო ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა და ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 80 დოლარის შემოსავლით ჩამორჩებოდა ნიგერიასა და ეთიოპიას. მას არც მდიდარი წიაღისეული ჰქონდა. დედაქალაქში კი ერთი მრავალსართულიანი შენობაც არ იყო, არ არსებობდა წყალგაყვანილობა და ელექტროენერგიაც მხოლოდ რამდენიმე საათით მიეწოდებოდა ქალაქებს.

ყველაფერი 1961 წელს დაიწყო, როცა სამხედრო გადაატრიალებით ხელისუფლებაში მოვიდა გენერალი პან ჩონჯ ხი, რომელმაც რეალურად დიქტატურა დაამყარა სახელმწიფოში. მან ჯერ მსუბუქი მრეწველობის განვითარებას შეუწყო ხელი და მალე კორეულმა საფეიქრო ნაწარმმა და ტანსაცმელმა მსოფლიო დაიპყრო თავისი სიიაფითა და ხარისხით. ამის შემდეგ განვითარდა მეტალურგია, მანქანათა და გემთმშენებლობა, რომელიც მსოფლიო ბაზრის 45%-ს ფლობს, ხოლო მობილური ტელეფონების ბაზრის ნახევარს.

შეიქმნა პრივილეგირებული კომპანიები, რომელთა შერჩევა ხდებოდა პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ. ამ კომპანიებს ეძლეოდათ შეღავათიანი კრედიტები და დიდი სახელმწიფო შეკვეთები. ასე ჩამოყალიბდა დიდი კორეული ინდუსტრიული კორპორაციები: ჰუნდაი, სამსუნგი, დაევო, ლჯ და სხვა. ისინი ძირითადად ექსპორტზე იყვნენ ორიენტირებულნი და ექსპორტის 30%-იან ყოველწლიურ ზრდასაც კი აღწევდნენ, ხოლო მშპ-ის ყოველწლიური ზრდა 10% იყო. ამავე დროს, საწყის ეტაპზე უცხოური საქონლის ექსპანსიისგან საკუთარ ბაზარსაც იცავდნენ.

სამხრეთ კორეის ეკონომიკური სასწაულის მთავარი შემადგენელი იყო ასევე კორუფციასთან დაუნდობელი ბრძოლა. ამ ბრძოლის მსხვერლნი გამხდარან პრეზიდენტებიც, მინისტრებიც და დეპუტატებიც.

კორეაში დიდი ფული იხარჯება განათლებასა და სამეცნიერო გამოკვლევებზე, რომლითაც ის ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

სამხრეთ კორეის მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ჰქონდათ სინგაპურს, ტაივანსა და ჩინეთს, რაც სრულიად არ ჯდება დასავლური დემოკრატიული განვითარების ჩარჩოში, მაგრამ ფაქტია, რომ ტაივანის ჩანკაი შის, სინგაპურის ლი კუან იუს რეჟიმებსა და ჩინეთის ერთპარტიულ სისტემას ხელი არ შეუშლია ამ ქვეყნების დიდ ეკონომიკურ პროგრესში, რომლის სიკეთეებითაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სარგებლობს.

ეკონომიკის რეფორმირების აზიური გამოცდილების პარალელურად კი არსებობს სამხრეთ ამერიკაში, აფრიკასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განხორციელებული ე.წ. „შოკური თერაპიის“ დოქტრინა, რომელიც ცნობილი ეკონომისტის, ე.წ. ჩიკაგოს სკოლის წევრის, ნობელის პრემიის ლაურეატის მილტონ ფრიდმანის ეკონომიკური რეფორმების თეორიაა, რომელმაც თავის დროზე მასობრივ სიღატაკეში ჩააგდო ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების მოსახლეობა.

აშშ-ის ადმინისტრაციის მოთხოვნით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ანალოგიური რეფორმების განხორცილებას მოჰყვა ის, რომ მოსახლეობის 70% სამუშაოს გარეშე ხელფასების გარეშე დარჩა, 70 ათასი მოქმედი ქარხანა-ფაბრიკა კი დაიხურა. ეს ყველაფერი ხდებოდა ერთი მუჭა ოლიგარქების არნახულად გამდიდრების ფონზე, მიზანი კი ერთადერთი იყო, რომ ამერიკულ-დასავლურ ევროპულ ჰეგემონიზმს გაჩანაგებული და დასუსტებული პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების სახით კონკურენტი არასოდეს ჰყოლოდა. ამის შესახებ გვამცნობს ამერიკული დოკუმენტური ფილმი „შოკის დოქტრინა“.

ის, რაც ამჟამად უკრაინაში ხდება, ამ პოლიტიკის გაგრძელებაა, რასაც უკვე დამაჯერებლად ადასტურებს უკრაინის ეკონომიკის ფლაგმანების: საავიაციო, სარაკეტო და მანქანათმშენებლობის დარგების გაკოტრებისა და დახურვის პირას მიყვანა.

ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი ამბობს: „საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ყველა იმედოვნებდა დემოკრატიასა და ეკონომიკურ რეფორმებზე, მაგრამ შედეგები გულამაცრუებელი იყო. აშშ ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტები დაჟინებით ურჩევდნენ რუსეთსა და სხვა ძველ კომუნისტურ სახელმწიფოებს გამოეყენებინათ „შოკური თერაპია,“ რომლის შედეგადაც მოსახლეობის უმრავლესობა მნიშვნელოვნად გაღატაკდა. ამგვარად, იმედი, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები მოიტანს კეთილდღეობას, დაინგრა. ამასთან ერთად, აშშ მხარს უჭერდა რუსეთის მთავრობას, რომელმაც მთელი ნაციონალური სიმდიდრე გადასცა ოლიგარქებს, რამაც გააძლიერა უთანასწორობა რუსეთში.“

შემდგომში, სწორედ ეს ოლიგარქები და მათი მსახური დასავლეთის დირექტივებით მთელი წლების მანძილზე ძარცვავდნენ საკუთარ ქვეყნებს, ანგრევდნენ მის ეკონომიკას, ინდუსტრიულ ობიექტებს ჯართად ჰყიდდნენ, შიმშილის სამსხვერპლოდ წირავდნენ მოსახლეობას და ამას ყველაფერს აკეთებდნენ დემოკრატიის სახელით.

სწორედ ანალოგიური ანტისახელმწიფოებრივი რეფორმები ჩატარდა საქართველოშიც, რომელმაც უამრავი ადამიანური ტრაგედია და ეროვნული კატასტროფა მოუტანა ქართველ ხალხს, რისი მოწმეც თითოეული ჩვენგანი ვართ.

მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი ნოამ ჩომსკი პირდაპირ აცხადებს, რომ: „ეს კორპორაციები ამერიკის მთავრობის შემადგენელი ნაწილია, მაგალითად აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ხშირად ამ კორპორაციების რიგებიდან ირჩევაო“.

ამ ვითარების გაცნობიერებით ძნელი არ არის იმ დასკვნის გაკეთება, რომ საქართველოს არანაირი რეალური სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი არ აქვს და ძირითადი სტრატეგიული გადაწყვეტილებები ან ბრიუსელში მიიღება, ან — ნიუ-იორკში, ან და მათ წამომადგენელ საელჩოებში. ეს ხშირად წამოსცდებათ კიდეც ქართული მთავრობისა და პარლამენტის წევრებს — შევათანხმებთ საკითხს ჩვენს მეგობრებთან და მერე გადავწყვეტთო და ხშირად ეს გადაწყვეტილებები საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო რომ არის, ამის არც განსჯა და არც ანალიზი არ ხდება, რადგან ზემდგომთა ბრძანება, როგორც წესი, უსიტყვოდ უნდა შესრულდეს.

ამ დროს კი საქართველოს სჭირდება ზემოთ აღნიშნული მარიონეტული, ნეოკოლონიური მმართველობის თავიდან მოშორება და ეროვნული აღმშენებლობის რეალური პროგრამის განმახორციელებელი ხელისუფლება. სწორედ ამგვარ ხელისუფლებას შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზების პროექტების შემუშავება და მათ განსახორციელებლად საინვესტიციო ფონდების შექმნა, როგორც ეროვნული ბიუჯეტიდან თანხების მობილიზებით, ასევე საბანკო სისტემის რეგულირების საფუძველზე მისი ეროვნული ინდუსტრიის სამსახურში ჩაყენებით, უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვით, ქართული პროდუქციისთვის ტრადიციული ბაზრების აღდგენითა და ახალი ბაზრების მოპოვებისათვის ზრუნვით.

ლარის კურსის დაცემას მისტირის დღეს მთავრობა, მაგრამ მის რეალურ მიზეზებზე და გამოსწორების გზებზე არანაირი ანალიტიკური მსჯელობა არ მიმდინარეობს. არადა, ძალიან მარტივი საკითხია. შარშან საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ 11 მილიარდ 453 მილიონი დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი იყო 2 მილიარდ 861 მილიონი დოლარის საქონელი, ხოლო იმპორტი — 8 მილიარდ 576 მილიონი დოლარის საქონელი. უარყოფითმა სავაჭრო სალდომ შეადგინა 5 მილიარდ 117 მილიონი დოლარი. საქართველოში უცხოეთიდან დამატებით კერძო პირებზე გზავნილებით დაახლოებით მილიარდი დოლარი შემოდის, რაც გარკვეულწილად აბალანსებს უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ეკონომიკის გაჯანსაღების ერთადერთი ხსნა არის ეროვნული წარმოების, მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესის განვითარება, რომელიც სისტემატური კაპიტალდაბანდებების გარეშე ვერ გამოცოცხლდება.

დაპირებების შესრულების ნაცვლად ნეოლიბერალისტი ეკონომისტები გამოსავალს უცხოური ემიგრაციის მოზღვავებაში ხედავენ. ამავე დროს, კვლავ გაურკვეველია, რა არის დაგეგმილი თბილისის ზღვაზე ჩინური კომპანიის მიერ აშენებულ დიდ საცხოვრებელ კომპლექსში, სადაც ცრუნაციონალისტთა მიერ ასიათასობით ჩინელის ჩამოსახლების ანტიეროვნული მოღალატური პროექტის განხორციელება იგეგმებოდა.

ამასთან ერთად, მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს იმ სტრატეგიული დარგების, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით სახელმწიფოს გამგებლობაში უნდა იყოს მოქცეული, საკონტროლო პაკეტების ნაციონალიზაცია და სახელმწიფოსა და ხალხის სამსახურში ჩაყენება. ეს ეხება ელექტროენერგიის, გაზის და წყალგამანაწილებელ სისტემებსა და ინფრასტრუქტურას, რომლებიც მათ რეალურ ღირებულებასთან შედარებით გროშის ფასში აქვთ ჩაგდებული ხელში უცხოელ ვითომ ინვესტორებს და ქართველი ხალხი ამის შედეგად მათი ძარცვის ობიექტია. ეს ასევე ეხება ელექტროსადგურებს, პორტებს, აეროპორტებს, კომუნიკაციის საშუალებებს, წიაღისეულის დიდ ნაწილს, რომელთა ექსპლოატაციით ასობით მილიონი დოლარის მოგება არა სახელმწიფო ყულაბაში, არამედ ერთეული ოლიგარქების ჯიბეში მიდის.

უნდა მოხდეს იმ სტრატეგიული დარგების, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით სახელმწიფოს გამგებლობაში უნდა იყოს მოქცეული, საკონტროლო პაკეტების ნაციონალიზაცია და სახელმწიფოსა და ხალხის სამსახურში ჩაყენება. ეს ეხება ელექტროენერგიის, გაზის და წყალგამანაწილებელ სისტემებსა და ინფრასტრუქტურას, რომლებიც მათ რეალურ ღირებულებასთან შედარებით გროშის ფასში აქვთ ჩაგდებული ხელში უცხოელ ვითომ ინვესტორებს და ქართველი ხალხი ამის შედეგად მათი ძარცვის ობიექტია.

გია თვალავაძე,
ზურაბ ბეჟანიშვილი.

◎ ძალადობა

ქონების ძარცვა-გლეჯა ნაციონალურად!

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მტკიცებით, 2004-2012 წლებში მოქალაქეებმა სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ, დათმეს 5634 ქონება

ორგანიზაციამ „ახალგაზრდა ადვოკატები“, მოქალაქეების მხრიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ, 2004-2014 წლებში, ჩუქების ხელშეკრულებით, უსასყიდლოდ ან მიტოვების ფორმით, გადაცემულ ქონებათა, წილების, აქციებისა და ავტომობილების შესახებ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები წარმოადგინა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის შედეგად, გამოკვეთილია ღია ტენდენცია, როდესაც მოქალაქეები სახელმწიფოს სასარგებლოდ, მასობრივად თმობდნენ საკუთრების უფლებას, სხვადასხვა ქონებებთან დაკავშირებით ფორმდებოდა ჩუქების ხელშეკრულებები და სხვადასხვა სამართლებრივი შეთანხმების ფორმით, სახელმწიფოს ხელში ქონებები გადადიოდა უსასყიდლოდ.

მონიტორინგის შედეგად, **2004-2012 წლებში, სახელმწიფოს უსასყიდლოდ, ჩუქების ფორმით გადაეცა 369 ქონება, მიტოვების გზით და სხვა სამართლებრივი ფორმით კი — 1941. საერთო ჯამში, სახელმწიფომ მიიღო 2310 ქონების განკარგვის უფლება. ამასთან, შესწავლილი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ 2004-2012 წლებში, სახელმწიფოს სასარგებლოდ მოქალაქეებმა წილები (აქციები) დათმეს 150-ჯერ, ხოლო სახელმწიფო გახდა 864 ავტომობილის მფლობელი. მთლიანობაში, სახელმწიფომ 2004-2012 წლებში, მოქალაქეებისგან 5634 ქონება მიიღო.**

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ შესწავლილი ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მასშტაბით, სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩუქების ხელშეკრულებით გადაცემული ან მიტოვებული ქონების სიმრავლე გვხდება შემდეგ მუნიციპალიტეტებში: გარდაბანი — 477, აბაშა — 116, ბათუმი — 97, ჩოხატაური — 84, ხელვაჩაური — 76, მცხეთა — 65, ხონი — 48, ხოლო საკუთრივ თბილისში, 2004-2012 წლებში აღრიცხულია ქონების დათმობის 589 შემთხვევა. ორგანიზაციამ შეისწავლა 2000-2003 წლებში არსებული მდგომარეობაც, სადაც სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების დათმობის მხოლოდ 1 შემთხვევა ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ სამინისტროდან გამოთხოვილ ინფორმაციაში, სრულადაა წარმოდგენილი დათმობილი ქონებების პერიოდი, საკადასტრო კოდი და მისამართები. რაც შეეხება დათმობილ წილებს, აქციებსა და ავტომობილებს, ინფორმაციაში ამის შესახებ მხოლოდ სტატისტიკური მომაცემებია მოტანილი.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, აგრეთვე მოითხოვა ინფორმაცია, თუ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის მდგომარეობით, რამდენმა მოქალაქემ ჩუქების ხელშეკრულებით ან სხვა სამართლებრივი ფორმით, დათმო საკუთრება სახელმწიფოს სასარგებლოდ და რამდენი მიტოვებული ქონება გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში. ორგანიზაციის მიმართ, გამოხმაურების წერილში ნათქვამია, რომ **„ფიზიკური პირების მიერ ჩუქების ხელშეკრულებით ან სხვა სამართლებრივი ფორმით სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების დათმობის თაობაზე და აგრეთვე სტატისტიკურ ინფორმაციას მიტოვებული ქონების შესახებ, რომელიც დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრებად, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში ინფორმაცია არ მოიპოვება“.**

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, თითქმის შეუძლებელია ითქვას, რომ **2004-12 წლებში, სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობილი ქონებები, წარმოადგენდა საკუთრებების ჩამორთმევის შემთხვევებს, მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ზეწოლის შედეგად მიღებულ სიკეთეებს, ვინაიდან შესწავლილ ინფორმაციაში, დათმობილი ქონებების მიზეზებსა და მოტივაციაზე საუბარი არ არის. მიუხედავად ამისა, თვალსაჩინოა საკუთრებების დათმობისა და სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის მასობრივი ხასიათი და ტენდენცია. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ, „ქონებაჩამორთმეულთა საქმეები“ გახდა ტერმინი, რომელიც 2004-2012 წლების მმართველობის პერიოდში, სწორედ საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტებზე მიუთითებს, ვინაიდან არაერთი ფაქტით იქნა დადასტურებული, რომ 2006-2012 წლებში, მოქალაქეებმა და კერძო იურიდიულმა პირმა, სახელმწიფოს უსასყიდლოდ აჩუქეს ქონებები და საკუთარი კომპანიის წილები, რაშიც სახელმწიფოს ზეწოლის ნიშნები აშკარად იკითხება.**

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საკითხზე საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, 2014 წლის 15 დეკემბერს მიმართა. მოთხოვნილი ინფორმაცია 2014 წლის 31 დეკემბერს, სრულად გასცა სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ. 2015 წლის 27 აპრილის მდგომარეობით, ორგანიზაციამ მიღებული ინფორმაცია დაწვრილებით შეისწავლა.

ერეკლე მაყაშვილი

◎ სწრაფვა

ნატო მტერია რუსეთის თუ ნატოს მტერია რუსეთი?!

დეტალები ევროატლანტიკური ფორუმიდან...

საჯარო დებატებში, არც ნატოა ვინმეს მტერი და არც რუსეთი, მაგრამ ამ სიტყვების უპასუხისმგებლობა საქართველომ საკუთარ თავზე მწარედ გამოსცადა. რუსეთი, არასანდო მეზობელია, ხოლო ნატო — პარტნიორი, რომლის იმედად ომში ჩაბმა ნამდვილად არ ღირს. და მაინც... მიმდინარე წელს ნატოს საწვრთნელი ცენტრი საქართველოში გაიხსნება, მოსწონს ეს რუსეთს, თუ არა... საქართველოს მთავრობა კი ევროპისკენ აღებულ კურსს ჯიუტად არ უხვევს, რაც უნდა საპირისპირო ამტკიცონ ოპონენტებმა.

ეს კიდევ ერთხელ კარგად გამოჩნდა ევროატლანტიკურ ფორუმზე, რომელიც თბილისში ჩატარდა და რომელსაც ქართველებთან ერთად ბევრი უცხოელი ესწრებოდა. მათ შორის: დიმიტრუ ბადეა (რუმინეთის ელჩი), ანჯეი ციშკოვსკი (პოლონეთის ელჩი), ლევენტ გუმრუკჩუ (თურქეთის ელჩი), უილიამ ლაჰიუ — ნატოს ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში... მათ მოუწიათ — ესმინათ ქართველი ოპონენტების საყვედურები საქართველოს მთავრობის მიმართ, თუმცა, კონფერენციის დამთავრების შემდეგ, პრივატულ საუბრებში გულწრფელად გამოხატავდნენ გაკვირვებას: ოფიციალურ დონეზე საქართველოს არ ეტყობა, რომ ევროპასთან ინტეგრაციის კურსს უხვევდეს, ან ნატოს უცხადებდეს უნდობლობას, პირიქით, კიდევ უფრო აქტიურობენო.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოს დეპარტამენტის ხელმძღვანელი **თამარ ჭითანავა** ამბობს, რომ **„საქართველოსთვის ევროპული ღირებულებები მთავარია. ხელისუფლების არჩევანი კი ევროპულ ოჯახში დაბრუნებაა“.** ამის მიუხედავად, ფორუმზე არაერთხელ გაკეთდა მკვეთრი აქცენტი საქართველოში რუსული პროპაგანდის გაძლიერებაზე, რომელსაც რატომღაც ხელისუფლება ლოიალურად უდგება. უცხოელი კოლეგების თქმით, ნატო არის ორგანიზაცია, რომელიც ფუნდამენტურად მუშაობს თავდაცვის საკითხებზე. მან შეიძლება, ხელი შეუწყოს ფორუმებს, ინფორმაციის გავრცელებას და ა. შ., მაგრამ პროპაგანდასთან ბრძოლა — მთავრობის პრეროგატივაა.

მომავალ წელს ვარშავა უმასპინძლებს ნატოს სამიტს. **„მისდევს თუ არა საქართველოს მთავრობა ევროატლანტიკურ კურსს — ამ კითხვის დასმა ზედმეტია, —** განაცხადა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ **არჩილ ყარაულაშვილმა, — ეს არის რთული გზა და ჩვენ ამ გზაზე დახმარება გვჭირდება. რუსეთი ასეთ პროპაგანდას ეწევა, რომ თითქოს ნატო აიძულებს ქვეყნებს გაწევრებას, თითქოს უცხოა ჩვენთვის ევროპული ღირებულებები და ეწინააღმდეგება რელიგიას, ტრადიციებს, კულტურას, იდენტობას... ეს აბსურდია“...**

შეიძლება, მაგრამ ამ პროპაგანდას თავისი შედეგი მოაქვს, მით უფრო, რომ ამის საპირწონედ არაფერს აკეთებს ხელისუფლება. მაგალითად, ნატოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე **თამარ მედულაშვილი** ასეთ ინფორმაციებს ახმიანებს: **„რეგიონებში ძალიან ბევრ კითხვას სვამენ ამასთან დაკავშირებით. ამბობენ, რომ ევროატლანტიკური კურსი რუსეთს გააღიზიანებს, თავს დაგვესხმევა და ვინ დაგვიცავსო? ან თუ არც ევროპას ვუნდივართ და არც ნატოს, ჩვენ მათკენ რატომ მივისწრაფვითო. არიან პროქართული ძალები, რომელთაც არც ნატო უნდათ და არც რუსეთი... ანუ ამ ადგილებში კომუნიკაციის ნაკლებობაა, მათ არა აქვთ ინფორმაცია ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“.**

ეს იმ დროს, როცა ექსპერტების მტკიცებით, რუსეთი უფრო „ჭკვიანი“ გახდა და პრაგმატულად უდგება იდეოლოგიურ პოლიტიკას. ექსპერტი **ნოდარ ხარშილაძე** მიიჩნევს, რომ საქართველოს დაუბალანსებელი ურთიერთობა აქვს როგორც ნატოსთან, ისე რუსეთთან. **„ჩვენ რუსეთი თანატოლ ქვეყნად არ აღგვიქვამს, ამიტომაც მისგან ლოგიკური ქმედებები არასოდეს არ მოდის. ვერანაირი მისწრაფება ნატოსკენ ვერ მოხდება დაფინანსების გარეშე და ამაზეც დიდი სამუშაოები არის გასაწევი. იმის მტკიცება კი, რომ ახალ ხელისუფლებას უკეთესი ურთიერთობა და მიღწევები აქვს რუსეთთან, არის სრული ილუზია. ჩვენ ცვლილებებს ვერ ვხედავთ!“**

კონფერენციაზე მონაწილეებმა რეზოლუცია მიიღეს, სადაც ნათქვამია: „საქართველოს მისწრაფებები ემყარება მყარ ღირებულებებს და გააზრებულ არჩევანს. ნატო რჩება დემოკრატიისა და სტაბილურობის უმნიშვნელოვანეს წყაროდ არაპროგნოზირებად მსოფლიოში. ყველა არსებული წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველო განაგრძობს დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობას“...

თეა მოსია

◎ რეგიონი

ბორჯომული სიახლეები

ბორჯომის გამგებლის დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით, პირველი მაისიდან „ახალი უბნის“ მიმართულებით სრულიად ახალი მუნიციპალური ტრანსპორტი იმოძრავებს. მერსედესის ფირმის სამარშრუტო ტაქსი მოქალაქეებს 20 თეთრად მოემსახურება. ტრანსპორტში დამონტაჟებულია კონდიციონერი და საკონტროლო ვიდეოკამერები. სამარშრუტო ტაქსი ბორჯომის მუნიციპალიტეტმა „ახალი უბნის“ მოსახლეობის კომფორტულად მგზავრობისათვის სულ რამდენიმე ხნის წინათ შეიძინა.

ტაძრისის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის თხოვნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ საკირე-ხაშურის სატრანსპორტო ხაზიც დანიშნა.

„პაზ“-ის ტიპის ავტობუსი ხაშურის მიმართულებით, საკირის, ტაძრისის, დგვარისა და დვირის მოსახლეობის გადაადგილებას, ყოველ კვირა დღეს უზრუნველყოფს. ადგილობრივების განმარტებით, განახევრებული ტარიფით მგზავრობა მათთვის დიდი შეღავათია, 4 ლარის ნაცვლად მოსახლეობა 2-ლარიანი ტარიფით სარგებლობს.

„დიდი ხნის განმავლობაში ჩვენთვის სამარშრუტო ტაქსის მცირე ტევადობის გამო, სასოფლო პროდუქციის დანიშნულების ადგილამდე მიტანა პრობლემას წარმოადგენდა. დღეს ნამდვილად კმაყოფილები ვართ, რომ ავტობუსი გვემსახურება, რომელიც გაცილებით კომფორტულია“, — აცხადებენ ადგილობრივები.

სიახლეს წარმოადგენს ასევე ისუზუ-ს მარკის შიდა საქალაქო ავტობუსებზე ვიდეოკონტროლის დაწესებაც. აღნიშნული ინიციატივა, მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც სალონის დაზიანების შემთხვევები დაფიქსირდა.

ინტერპრესი

◎ საყოველთაო ჯანდაცვა

სამედიცინო დაზღვევის ფერისცვალების ჟამი

სადღეისოდ საქართველოში მოქმედი **„ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამა“, რომლის სიკეთე უკვე ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ იგრძნო, ახლო მომავალში მოდერნიზებას განიცდის, კიდევ უფრო მეტად დაიხვეწება და ევროკავშირის ქვეყნებში მიღებულ სტანდარტებს მაქსიმალურად მიესადაგება.**

აღნიშნულთან დაკავშირებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ახალი, **„სახელმწიფო აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის“** პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯი საგრძნობლად შემცირდება. ამჟამად მოქმედი „ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამისგან“ განსხვავებით, რეფორმის შედეგად, **ახალ პროგრამაში გათვალისწინებული იქნება ევროპული სტანდარტები და ნორმები, დაწესდება ეროვნული დიაგნოსტიკა და სამკურნალო პროტოკოლი, ჩამოყალიბდება ფარმაკოლოგიური პროდუქტების ეფექტიანი მარეგულირებელი სისტემა, დაწესდება უსაფრთხოების მონიტორინგი და ხარისხის კონტროლი**. უნდა ითქვას, რომ ჯანდაცვის სისტემის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, საქართველოს მთავრობამ ცნობილ საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფთან „გლობალ ალიანს ფორ ჰილთ ენდ სოციალ კომპაქტთან“ გრძელვადიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

განსახორციელებელი რეფორმის პრინციპული არსი ისაა, რომ იგი ერთმნიშვნელოვ-

ნად პაციენტზე იქნება ორიენტირებული. ახალი დიაგნოსტიკური სტანდარტებისა და მკურნალობის მეთოდების დამკვიდრებაში კი სამამულო მედიკოსებს უცხოელი სპეციალისტები დაეხმარებიან.

ახალი „სახელმწიფო აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის“ სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **დავით სერგეენკოს** განცხადებაში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს იმ სტრატეგიის განხორციელების შესაძლებლობას აძლევს, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას მოსახლეობისთვის ჯერ კიდევ წინა საარჩევნო პერიოდში აქვს მიცემული.

— პირველი ნაბიჯი, რომელიც მოქალაქეთა საყოველთაო ჯანდაცვას ითვალისწინებდა, უკვე კარგა ხნის გადადგმულია, — აღნიშნა მინისტრმა. — მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯანდაცვის სისტემის რაოდენობრივი მაჩვენებლები, სამედიცინო დახმარების მიღება გაცილებით მეტმა ადამიანმა შეძლო.

ბატონ დავით სერგეენკოს თქმით, სამინისტროს შემდგომი ნაბიჯები სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებასა და ფასწარმოქმნის ერთიანი სისტემის შექმნაზე იქნება მიმართული, ხოლო, რაც შეეხება უშუალოდ ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემაზე გადასვლას, ჯერ კიდევ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლისას საჯაროდ გაცხადდა იმის თაობაზე, რომ გარკვეული დროის შემდეგ შეიქმნებოდა საერთო სადაზღვევო ფონდი და ეს პროექტი ხორციელდება კიდეც.

— ვადასტურებ, რომ ეს არის მრავალპუნქტიანი, ყველა ფენის წარმომადგენელთათვის ხელმისაწვდომი პროექტი, რომლის ფარგლებში მოსახლეობა მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას მიიღებს, — განაცხადა მინისტრმა. — **აქამდე ჩვენი მთავარი ამოცანა თანხების ეფექტიანად განკარგვა იყო, რაც შესრულდა კიდეც. შემდეგი ეტაპი კი განხორციელებული პროგრამის მოდერნიზება იყო, რაც არჩევნების პროგრამულ დოკუმენტშიც იყო ასახული. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს პროექტი სრულ თანხვედრაშია 2010 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაზე გადასვლის თაობაზე. ამის მომდევნო ეტაპი კი ისეთი სტრუქტურის ჩამოყალიბება იქნება, რომელიც მიზნობრივ თანხებს ეფექტიანად განკარგავს. ყველაფერი ამის მთავარი დატვირთვა კი ის არის, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის ჯანდაცვა ხელმისაწვდომი იყოს,** — დასძინა ბატონმა სერგეენკომ.

არსებული ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, თავდაპირველად სახელმწიფო სადაზღვევო ფონდის შექმნაა გათვალისწინებული, ხოლო შემდგომ, როცა შეიქმნება სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლისა და ფასწარმოქმნის ერთიანი ინტეგრირებული სისტემა, ადმინისტრირებაში სახელმწიფოს როლის შემცირების საკითხიც დადგება, მერე კი წინა პლანზე კერძო ადმინისტრატორულმა კომპანიებმა უნდა წამოიწიონ. თუმცა კი, ვიმეორებთ, ამის ალბათობა მხოლოდ მომსახურების ხარისხის კონტროლისა და ფასწარმოქმნის ერთიანი ინტეგრირებული სისტემის შექმნის შემდეგ გაჩნდება.

მნიშვნელოვანი გარემოება, რომელმაც „სახელმწიფო აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის“ სისტემაზე წარმატებული გადასვლა უნდა უზრუნველყოს, წლევანდელ სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამაზე გამოყოფილი სახსრების საგრძნობი ზრდაა: თუ შარშან ამ მიზნისთვის დაახლოებით 338,5 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, წლევანდელმა დაფინანსებამ 470 მილიონი ლარი შეადგინა. თანაც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გარკვეული მუხლების მოსალოდნელი შეკვეცის ფონზე, რაც ლარის კურსის ვარდნას, ეკონომიკური ზრდის ტემპის დონის საგრძნობ საპროგნოზო შემცირებასა და სხვა მიზეზებითაა განპირობებული, ჯანდაცვისა და სოციალურ მუხლებს ეს საფრთხე არ ელით.

განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ „სახელმწიფო აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის“ სისტემის ადმინისტრირების ხარჯი მინიმალურია და მთლიანი ხარჯის ნახევარ პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. პერსპექტივაში კი, ბიუჯეტის მასშტაბით, ეს ნამდვილად უმნიშვნელო ხარჯი კიდევ უფრო მეტად უნდა შემცირდეს.

პროექტის განხორციელება ასევე მთელი რიგი სამედიცინო კლინიკის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას ითვალისწინებს. მათ შორის ყველაზე სოლიდური სამედიცინო ცენტრებია **რესპუბლიკური საავადმყოფო, ონკოლოგიური ცენტრი და ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო ხილიანის ქუჩაზე**. რეკონსტრუქცია და რეფორმა შეეხება როგორც კლინიკების ტექნიკურ-სამედიცინო აღჭურვას, ასევე „სახელმწიფო აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის“ სისტემაზე მორგებულ მართვას. ეს კი აუცილებლად მოითხოვს სამედიცინო პროგრამების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმების გადახედვას და ახალი მოთხოვნილებისადმი მათ მისადაგებას.

ოთარ ტურაბელიძე

◎ SIC!

მომხმარებელი შეტევაზე გადმოდის!

ცალკეულ **კომერციულ პირებს ბუნებრივი გაზის საფასური უკვე გაუძვირდათ.**

მერყევი ლარისა და შემცირებული ეკონომიკური ზრდის პირობებში ბიზნესისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ინფორმაცია, ბუნებრივი გაზის ტარიფის გაზრდის შესახებ. გაზის გაძვირება თავისთავად გულისხმობს სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქტებზე ფასების ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესში მთავრობაც ჩაერთო და იურიდიული პირებისთვის გაზის ტარიფის გაძვირებას ირიბად შეეწინააღმდეგა და გაზის მთავარ მომწოდებელთან „სოკარ ჯორჯია გაზთან“ მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა, გარკვეულ იურიდიულ პირებს ბუნებრივი აირი მაინც გაუძვირდათ. მართალია, „ყაზტრანსგაზსსა“ და „სოკარ ჯორჯია გაზში“ განმარტავენ, რომ იურიდიული პირებისთვის გაზის საფასური არ გაუზრდიათ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. როგორც bpn.ge-თვის გახდა ცნობილი, ცალკეულმა გაზგამანაწილებელმა კომპანიებმა იურიდიულ პირებს გაზის ტარიფი გაუზარდეს. **ერთ-ერთი მათგანი შპს „ვარკეთილაირია.“ კომპანიამ თავის მომხმარებელს — იურიდიულ პირებს, 1 კუბ.მეტრი ბუნებრივი აირი 97 თეთრამდე გაუძვირა. ტარიფის გაზრდის ფაქტს კომპანიაში არ უარყოფენ და ამას ლარის გაუფასურებით ხსნიან. მათი ვარაუდით, დოლარის კურსი თუ არ დასტაბილურდა, მომავალი თვიდან ტარიფი უკვე 1 ლარი გახდება.**

ბუნებრივი გაზი შესაძლოა, 1 ლარამდე გაძვირდეს!

შპს „ვარკეთილაირის“ დირექტორის ნუგზარ მღვდელაძის თქმით, მათი ორგანიზაცია გაზის ძირითად ნაწილს „შპს ყაზტრანსგაზიდან“ და მცირე ნაწილს „სოკარ ჯორჯია გაზიდან“ ყიდულობს. **„მომწოდებელთან ხელშეკრულება დოლარში გვაქვს გაფორმებული. შესაბამისად, დოლარის კურსის მატების პარალელურად, გადასახადი გაგვიძვირდა. ამიტომ, იძულებული გავხდით, რომ სატარიფო პაკეტის თანხა გაგვეზარდა. თუ სიტუაცია არ დასტაბილურდა, იძულებული გავხდებით, ტარიფი 97 თეთრიდან ერთ ლარამდე გავზარდოთ“,** — ამბობს ნუგზარ მღვდელაძე. მისივე თქმით, გაზის ტარიფი შარშან, ნოემბრიდან ეტაპობრივად გააძვირეს. **„როცა დოლარის კურსი 1, 78 ლარი იყო, მაშინ კომერციულ გაზს დღგ-ს ჩათვლით 62 თეთრად ვყიდულობდით. როგორც გითხარით, მომწოდებელი გაზის საფასურს დოლარში აფიქსირებს, ხოლო ჩვენ ანგარიშსწორებას ლარში ვახდენთ. როგორც კი დოლარის კურსი აიწია, უკვე ნოემბერში ტარიფი 69 თეთრი გავხადეთ, დეკემბერში — 72 თეთრი, იანვარში — 84 თეთრი და ა.შ. ამას ვამატებთ ჩვენს მარჟას — 13 თეთრს და 84 თეთრად ნაყიდი გაზი უკვე 97 თეთრი გახდა. ვვარაუდობ, რომ ამჯერად, გაზს 87 თეთრად მომყიდიან. ასეთ შემთხვევაში მომავალი თვიდან გაზის ტარიფი ერთი ლარი გახდება. მთლიანად დამოკიდებული ვარ მომწოდებელზე. მომხმარებელი ჩვენ გვიტევს. არადა, ჩვენ რა შუაში ვართ? ჩვენ თვითონ გაგვიძვირდა გაზის საფასური,“** — ამბობს მღვდელაძე.

bpn.ge კომენტარისთვის გაზის მომწოდებლებს დაუკავშირდა. „ყაზტრანსგაზსა“ და „სოკარ ჯორჯია გაზში“ განმარტავენ, რომ იურიდიული პირებისთვის გაზის ტარიფი არ გაუძვირებიათ.

ეკა სარია, „ყაზტრანსგაზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი: შპს „ვარკეთილაირი“ და შპს „დიდი დიღომიც“ გაზის დისტრიბუტორები არიან. აღნიშნული კომპანიები ჩვენგან გაზს დოლარის მიმდინარე კურსის მიხედვით ყიდულობენ, ჩვენ კი „სოკარისგან“ ვყიდულობთ. რადგან კურსი მერყეობს, საფასურიც გაეზარდათ. ამიტომ, თუ მათ იურიდიულ პირებს ტარიფი გაუძვირეს, ეს მათი პრობლემაა. ჩვენც გაგვიძვირდა გაზი, თუმცა, მოსახლეობაზე მაინც ძველი ფასით ვყიდით.“

„სოკარ ჯორჯია გაზში“ კი აცხადებენ, რომ იურიდიული პირებისთვის გაზი არ გაუძვირებიათ და მსგავსი რამ არც იგეგმება. ამრიგად, გაზის მომწოდებლები ამტკიცებენ, რომ ბუნებრივი აირის საფასური არ გაზრდილა, ხოლო გაზის გამანაწილებელი კომპანიების მხრიდან ცალკეული იურიდიული პირებისთვის საფასურის გაზრდას ლარის დევალვაციას აბრალებენ.

ფაქტია, რომ გაზის საფასურის გაზრდის ფონზე, თონეებმა პურის ფასი უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც გააძვირეს. bpn.ge რამდენიმე მათგანს ესაუბრა და ჩვენმა რესპონდენტებმა მეტი თვალსაჩინოებისთვის გაზრდილი საფასურის ქვითრებიც წამოგვიდგინეს. **„აქამდე თვეში 600 ლარს ვიხდიდი, ამ თვეში კი 862 ლარი გადავიხადე. სადამდე უნდა გავზარდოთ პურის ფასი? მერე ვინ იყიდის? ხალხს ისედაც უჭირდა 60 თეთრის გადახდა და 70 თეთრი რაც გავხადე, უკვე შემცირდა გაყიდვა. თუ კიდევ გაგვიზარდეს გადასახადი, მაშინ რა ვქნათ? პურის ფასი ლარი გავხადოთ? მუშაობას აზრი ეკარგება. როცა 87 თეთრი გახდა ბუნებრივი აირის საფასური, მაშინ წინასწარ გაგვაფრთხილეს, ახლა ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე მოგვივიდა ქვითარი, სადაც გაზის ტარიფი უკვე 97 თეთრია“,** — ამბობს ერთ-ერთი თონის მეპატრონე.

ჯერ კიდევ მარტში, საქართველოს ვიცე-პრემიერმა და ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ კომერციული სექტორისთვის არსებული გაზის ტარიფი 1 მაისამდე უცვლელად შენარჩუნდებოდა. მინისტრის თქმითვე, აღნიშნულისთვის ბიუჯეტიდან 15 მილიონი ლარის სუბსიდია განხორციელდა. გაგრძელდება თუ არა სუბსიდირება მომავალშიც, კალაძის თქმით, ამაზე მთავრობა და ხელისუფლება იმსჯელებს. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი კომერციული ობიექტებისთვის გაზი მაინც გაძვირდა.

სალომე გოგოხია

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სააკაშვილმა კიდევ ერთი თავშესაფარი იშოვა

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ, სადაც ამჟამად ვიზიტით საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმყოფება, უგულებელყო საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნა მისი დაუყოვნებლივი დაპატიმრებისა და ექსტრადაციის შესახებ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გვაცნობეს, რომ მთავრობა ჯერჯერობით არ აპირებს რაიმე დიპლომატიურ დემარშს აზერბაიჯანთან დაკავშირებით, „ვინაიდან საკითხი შეეხება მეგობრულ ქვეყანას“.

მიხეილ სააკაშვილი ჩავიდა ბაქოში იმ დღეს, როდესაც თბილისში დაიწყო სასამართლო პროცესი ოთხიდან ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, რომლებიც აღძრულია მის წინააღმდეგ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ. როგორც კი ინფორმაცია ამის შესახებ გაჩნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თავის აზერბაიჯანელ კოლეგებს გაუგზავნა მოთხოვნა ყოფილი პრეზიდენტის დაპატიმრებისა და ექსტრადაციის შესახებ. სხვათა შორის, როგორც მოგვიანებით გვაცნობეს გენერალურ პროკურატურაში, „ბაქო ამ საკითხთან დაკავშირებით სრულ დუმილს ინარჩუნებს“.

ამ დროს თავად მიხეილ სააკაშვილმა უამბო ჟურნალისტებს, რომ ჩავიდა აზერბაიჯანში „უკრაინის პრეზიდენტის პიოტრ პოროშენკოს თანაშემწის რანგით“. ძალიან მიხარია, რომ კვლავ მოძმე აზერბაიჯანში ვიმყოფები, — უბრწყინავდა სახე სიხარულისგან ყოფილ პრეზიდენტს. ამავე დროს მან დაიჩივლა საქართველოს ამჟამინდელ ხელმძღვანელობაზე, „რომელიც უქმნის ყოველგვარ დაბრკოლებას, რათა თავიდან აიცილოს ვიზიტი ბაქოში“.

„ყველა საუბარი იმის შესახებ, რომ თითქოს მე ინტერპოლი მეძებდეს, ეს პროფანაციაა“, — ხაზგასმით აღნიშნა ყოფილმა პრეზიდენტმა და თბილისს უწოდა „სუსტი პარტნიორი აზერბაიჯანისთვის ამჟამინდელ საქართველოს ხელისუფლებაში“. „ამ ხელისუფლებას არ შეუძლია, ვინმესთან იმეგობროს. მას აინტერესებს მხოლოდ საკუთარი მოგება“, — თქვა მან.

Коммерсантъ

საქართველო-მეღვინეობის სამშობლოა

ახალი **არქეოლოგიური აღმოჩენები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ ადამიანმა პირველად აქცია კულტურულად ველური ვაზი და მისი ნაყოფისგან დაამზადა ღვინო საქართველოს ტერიტორიაზე. ამის შესახებ აცხადებენ არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეები, რომელიც მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოში სოფელ იმირში, იმ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს სახელწოდებით „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის გამოკვლევა“.**

არქეოლოგები აცხადებენ, რომ კულტურული ვაზის წიპწები აღმოაჩინეს კერამიკული ჭურჭლის კედლებზე, რომელიც ჩვენს ერამდე მეექვსე ათასწლეულით თარიღდება, იგი ადასტურებს აგრეთვე მასში ღვინის შენახვას. მომდევნო ლაბორატორიული ბიოქიმიური გამოკვლევა მოგვაწოდებს უფრო დეტალურ ინფორმაციას ძველი ჭურჭლების შიგთავსთან დაკავშირებით. მაგრამ დამოწმებანი, რომლებიც აღმოჩნდა ამ უძველეს დასახლებათა ადგილებზე, მათ შორის ღვინის ჭურჭლის ნამსხვრევებიც, კულტურული ხორბლისა და მარცვლეულის ნარჩენები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღები ადასტურებენ, რომ უკვე ნეოლითის პერიოდში საქართველოში მეღვინეობა იმყოფებოდა არა საწყისს, არამედ მაღალი განვითარების ეტაპზე.

„ხალხი, რომელიც ცხოვრობდა ამ აღმოსავლეთ საქართველოს ამ ტერიტორიაზე რვა საუკუნის წინათ, აწარმოებდა ღვინოს უკვე გაკულტურულებული ვაზისგან“, — განაცხადა ექსპედიციის ხელმძღვანელმა მინდია ჯალაბაძემ.

აღსანიშნავია, რომ, მართალია, საქართველოში ვაზის 500-ზე მეტი ეროვნული კულტურაა, ველური ვაზის სახეობანი, რომელიც შესულია საქართველოს წითელ წიგნში როგორც სახელმწიფო დაცვის ობიექტი, გავრცელებულია დღესაც.

ამავე დროს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის დავით ლორთქიფანიძის სიტყვებით, არქეოლოგების მიზანი არის არა მხოლოდ ის, რომ დავადასტუროთ საქართველოს სტატუსი როგორც უძველესი ქვეყნისა, სადაც აწარმოებდნენ ღვინოს, არამედ თავად პროცესის ევოლუციის ეტაპების გამოვლენა.

ღვინის სამშობლო

საძართველომ დიდი ხანია, მიიღო იმის აღიარება, რომ იგია ადგილი, რომელმაც მსოფლიოს ღვინო აჩუქა. 1999 წელს ლონდონში გახსნილი მსოფლიოში პირველი მუდმივად მოქმედი ღვინის გამოფენა „ვინოპოლისი“ იწყება საქართველოს პავილიონით რომელსაც ასეც ეწოდება „ღვინის სამშობლო“.

არიან ლინგვისტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თავად სიტყვას „ღვინო“ აქვს ქართული ფესვები. ამ თვალსაზრისით მომხრეები სემანტიკურ კავშირს ხედავენ პროდუქტის ქართულ სახელწოდებასთან — „ღვინო“.

მეღვინეობის ხსენება, როგორც ძირითადი დარგისა საქართველოს ტერიტორიაზე, გვხვდება ასირიის, ძველბერძნულ, ბიზანტიურ წყაროებში. ამის შესახებ წერდნენ ქსენოფონტე, აპოლონ როდოსელი, სტრაბონი, პროკოფი კესარიელი.

ამავე დროს ზუსტად არ არის ცნობილი, თუ როდის გაჩნდა თამადის ტრადიცია. თუმცა, ბევრი „ქართულ თამადას“ უწოდებს მამაკაცის ბრინჯაოს ფიგურას ღვინის ჭურჭლით ხელში, რომელიც ვანში არქეოლოგიური ექსპედიის დროს აღმოაჩინეს და რომელიც თარიღდება ჩვენს ერამდე მეშვიდე საუკუნით.

2013 წელს ღვინის ქვევრში დამზადების ქართული მეთოდი შეიტანეს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში.

ქართული ღვინის ექსპორტი

„მსოფლიოს **არც ერთ ქვეყანაში არ სვამენ ასე ბევრ და ასეთ კარგ ღვინოს, როგორც საქართველოში“, — წერდა ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1672-73 წლებში. მართალია ოთხი საუკუნის შემდეგ, 2006 წელს, როგორც რუსული სახელმწიფო სტრუქტურები ამტკიცებენ, ქართული ღვინის ხარისხი უკვე აღარ იყო ისეთი და უფრო მეტიც — „იგი სახიფათოა ჯანმრელობისთვის“.**

რუსული ემბარგო ქართულ პროდუქციაზე, რომელიც შეიცავდა ალკოჰოლურ სასმელებს, გრძელდებოდა 2013 წლამდე, სანამ საქართველოში სახელმწიფოს ხელმძღვანელობა არ შეიცვალა.

მას შემდეგ ოფიციალური მონაცემების თანახმად, საქართველოს შემოსავალი ღვინის ექსპორტისგან 30 პროცენტით გაიზარდა, ღვინის გაყიდვა კი გაიზარდა 26 პროცენტამდე. ამ დროს რუსეთი ქართული ღვინის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის გავიდა პირველ ადგილზე მას მოსდევენ უკრაინა, ყაზახეთი, ბელარუსი, პოლონეთი და ჩინეთი, შეერთებული შტატები, სტატისტიკის თანახმად, მეთორმეტე ადგილზე აღმოჩნდა.

ექსპორტირებულ ღვინოებს შორის 2014 წელს ყველაზე მეტი მოთხოვნით სარგებლობდა წითელი ნახევრადტკბილი ღვინო „ქინძმარაული“, მას მოსდევდნენ თეთრი მშრალი ღვინო „წინანდალი“, შემდეგ წითელი მშრალი „მუკუზანი“, და წითელი ნახევრადტკბილი „ახაშენი“.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ამერიკელი პოლიციელები უკრაინელ კოლეგებს საპატრულო-საპოსტო სამსახურის ჩვევებს შეასწავლიან

ამ კურსის დროს ოთხი ამერიკელი პოლიციელი კიევში ოთხი კვირის განმავლობაში შეასწავლის მუშაობის მთავარ ჩვევებს წესრიგის დამცველ 30 უკრაინელს. სწავლების შემდეგ სამართალდამცავები დაიწყებენ კურსანტების მომზადებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი საპატრულო-საპოსტო სამსახურის რეფორმის ფარგლებში.

საუდის არაბეთის მეფემ მთავრობაში მთელი რიგი გახმაურებული გადაადგილება განახორციელა და დანიშნა ახალი მემკვიდრე უფლისწული

ახალი მემკვიდრე პრინცი გახდა მეფე მუჰამედ იბნ ნაიეფის ძმისწული, ტახტისათვის რიგში მეორე ადგილზე გადავიდა მეფისწული, თავდაცვის მინისტრი მოჰამედ იბნ სალმანუ. ამას გარდა მეფემ შეცვალა საუდის ეროვნული ნავთობმომპოვებელი კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც მიიჩნევენ პასუხისმგებლად გადაწყვეტილებისთვის არ შეამციროს ნავთობის მოპოვების მოცულობა, მიუხედავად შავ ოქროზე ფასის ორმაგად შემცირებისა.

ინდონეზიამ რვა დამნაშავე დასაჯა სიკვდილით. ავსტრალიამ ელჩი გაიწვია

ნარკოტიკების კონტრაბანდისთვის დახვრეტილი შვიდივე პიროვნება უცხოელია. სიკვდილით დასაჯეს ორი ავსტრალიელი, ოთხი ნიგერიელი, აგრეთვე ბრაზილიისა და ინდოეთის მოქალაქეები. ავსტრალია, რომელიც მუდმივად მოითხოვდა ინდონეზიისგან გამოეჩინა შეწყალება, თავის ელჩს პოლ გრიგსონს იწვევს.

პენტაგონი ითხოვს ნებართვას - გამოიყენოს რუსული სარაკეტო ძრავები გასაშვებად

ამის შესახებ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების კოსმოსური სარდლობის ხელმძღვანელმა გენერალმა ჯონ ჰაიტენმა განაცხადა. მისი სიტყვებით, კონგრესს შესთავაზეს, შეცვალოს კანონპროექტი, რომელიც ზღუდავს რუსული ძრავის გამოყენებას ამერიკული რაკეტებისთვის.

◎ კანონმდებლობა მოითხოვს

აზარტული თამაშების ქართული ისტორია

საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პირველი სამორინე თბილისში გაიხსნა

რამდენიმე კვირის წინათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ სააღდგომო ეპისტოლეში სათამაშო ბიზნესს „საშიში და სერიოზული პრობლემა“ უწოდა და აღნიშნა, რომ ფიქრობს, ხელისუფლებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ამ მიმართულებით. თავის მხრივ, ილია მეორის განცხადებას აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები გამოეხმაურნენ. მთავრობის წევრებმა უწმინდესის ეპისტოლე მნიშვნელოვნად შეაფასეს და მას გასათვალისწინებელი უწოდეს. თუმცა, ვიდრე ხელისუფლება სათამაშო ბიზნესის რეგულაციების უფრო მეტად დახვეწაზე მუშაობას დაიწყებს, აზარტული თამაშების ქართულ ისტორიას და ამ ბიზნესში არსებულ მოქმედ რეგულაციებს გავეცნოთ.

აზარტული თამაშების ისტორია ოფიციალურად 1520 წლიდან იწყება და საფრანგეთში მეფე ფრანცისკ I-ის ბრძანებით დაკანონდა. პირველი კაზინოები პარიზში 1765 წელს გაიხსნა. იმ დროისთვის, აზარტული თამაშების სახლები გართობასთან ერთად, უამრავი უკანონო საქმიანობის, მათ შორის „შავი ფულის გათეთრების“ ყველაზე კარგი საშუალება იყო. კაზინო კი არსებითად, სათამაშოდ შექმნილ ბარს წარმოადგენდა — მხოლოდ „რულეტკასა“ და მაგიდის თამაშებს სთავაზობდნენ სტუმრებს, მოგვიანებით სლოტ-ავტომატები დაამატეს.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, აზარტულ თამაშებს საქართველოში არცთუ ისე მცირე ხნის ისტორია აქვს. ცნობილია, რომ აზარტული თამაშებით გატაცებული იყო აკაკი წერეთელი. წყაროების მიხედვით, მე-19 საუკუნის საქართველოში გარკვეული ტიპის სათამაშო დაწესებულება არსებობდა, რომელსაც ხშირად სტუმრობდნენ ქართული ელიტის წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის დროს კი, აზარტული თამაშები აიკრძალა და მხოლოდ ლატარია იყო დაშვებული. ბუნებრივია, ეს აკძალვა საქართველოსაც შეეხო.

1920-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პირველი სამორინე თბილისში გაიხსნა. ცნობილია, რომ იმ დროს სამორინეს ორგანიზებისთვის საჭირო გადასახადები საკმაოდ მაღალი იყო. დაბეგვრის სისტემა არ იყო ყველაზე ეფექტური, რადგან ითვალისწინებდა პროცენტს მოგებიდან, რაც საკმაოდ რთული გასაკონტროლებელია სამორინეს შემთხვევაში. საქართველო ასევე პირველი რესპუბლიკა იყო, რომელმაც დააწესა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არალეგალური აზარტული თამაშების ორგანიზებისთვის, და ეს მაშინ, როცა აზარტული თამაშები მთელ საბჭოთა კავშირში იყო აკრძალული. 1989 წელს პირველი სამორინე გაიხსნა ბათუმში, ფეშენებელურ ღამის კლუბ „ინტერკლუბში“.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, სათამაშო ბიზნესის განვითარება ძალიან მაღალი ტემპებით დაიწყო. 1997 წელს კი საქართველომ დააწესა გადასახადი, რომელიც დაფუძნებული იყო სათამაშო მოწყობილობების რაოდენობაზე, რაც ამ ბიზნესის დაბეგვრის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. არაეფექტური რეგულირების პირობებში სათამაშო ბიზნესი შეიძლება მძიმე სოციალური პრობლემების გამომწვევი გახდეს, მაგრამ დაბალანსებული მიდგომის შემთხვევაში, სოციალური რისკები მინიმალურია.

2000 წელს საქართველოში მომზადდა კანონპროექტი, რომელიც მთლიანად კრძალავდა სათამაშო ბიზნესს. მთავარ მოტივებად დასახელდა ეფექტური კონტროლის არარსებობა და ქვეყანაში მომუშავე ოპერატორების შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების არარსებობა. ამკრძალავი ღონისძიებების იდეა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობით მიიღეს, მაგრამ 2001 წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდა სათამაშო ბიზნესიდან შემოსული გადასახადების გარეშე და საბოლოოდ აკრძალვა აღარ დამტკიცდა.

2005 წელს საქართველომ — კვლავ რეგიონში პირველმა — მიიღო დეტალური კანონი, რომელიც დღემდე მოქმედებს. წესები შეიცავს სალიცენზიო მოსაკრებლებს, გადასახადს სათამაშო მოწყობილობებზე, ასაკობრივ შეზღუდვებს, სათამაშო ბიზნესის ობიექტების ორგანიზებისა და განთავსების წესებს, ფინანსურ რეგლამენტებს — ყველაფერს, რაც საჭიროა ოპერატორების სრულფასოვანი კონტროლისათვის და რაც წამოადგენს ნორმას ევროპული კანონმდებლობისთვის.

რა არის აუცილებელი სამორინეს გასახსნელად? — კანონმდებლობა მოითხოვს, რომ სამორინეში დამონტაჟებული იყოს და ფუნქციონირებდეს არანაკლებ შვიდი სათამაშო მაგიდა, ამათგან ერთი უნდა იყოს სათამაშო ბორბალი, იგივე რულეტი. თითოეულ სათამაშო მაგიდაზე სამორინე კვარტალურად იხდის სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს 15 000 ლარიდან 30 000 ლარის ჩათვლით. სათამაშო აპარატებისთვის ეს თანხა განისაზღვრება 1 500 ლარიდან 3 000 ლარის ჩათვლით. კონკრეტულად, ელექტრო რულეტზე, რომელთანაც კრუპიე არ დგას, მოსაკრებელი არის 3000 ლარი. თითოეულ სათამაშო აპარატში პროგრამულად უზრუნველყოფილია, რომ გასცეს მოგების 75%. დანარჩენი 25% აზარტული დაწესებულების შემოსავალია.

რეგულაციების მიუხედავად, საქართველოში, განსაკუთრებით, თბილისში ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა სამორინეების, სლოტ-კლუბებისა და ტოტალიზატორების რიცხვი. ამაზე მიუთითებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევაც **აზარტული თამაშების ბაზრის შესახებ საქართველოში. კვლევის მიხედვით, აზარტული თამაშების ბიზნესის მნიშვნელოვანი ზრდა დაიწყო 2011 წლიდან, როდესაც ამ სექტორის ბრუნვამ 3.2- ჯერ გადააჭარბა წინა წლის ბრუნვას, ხოლო მიღებულმა მოგებამ 54-ჯერ გადააჭარბა წინა წლის მაჩვენებელს.**

2012-2013 წლებში აზარტული თამაშების სექტორში კიდევ უფრო მასობრივი ზრდა დაფიქსირდა და წლიურმა ბრუნვამ 1.2 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო სათამაშო ბიზნესისა და ნებართვის მოსაკრებელმა 105.2 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, რაც 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 1.4%-ია. რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, 2013 წელს ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 5 046 იყო, რაც ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 0.3% შეადგენს.

ამავე კვლევიდან ირკვევა, რომ **2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოში 213 სხვადასხვა ტიპის აზარტული თამაშების ნებართვა იყო მოქმედი, მათგან ყველაზე მეტი — 93 ტოტალიზატორის, 55 სათამაშო აპარატების სალონის.** არსებული მონაცემებით, ბაზარზე არის 94 მოქმედი საწარმო. აქედან, 32 მსხვილი საწარმოა. **ამ ტიპის ბიზნესი ყველაზე ფართოდაა გავრცელებული თბილისში, რომელსაც მოსდევს ბათუმი და ქუთაისი.**

რაც შეეხება საშეღავათო ზონებს, მთვრობის [N463—ე] დადგენილებით, 2014 წლის 4 აგვისტოს სამორინეებიის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთებისა და შეღავათების დადგენის წესში ცვლილებები შევიდა, რომლის მიხედვითაც სამორინეს მოწყობაზე მოსაკრებლის წლიურ განაკვეთზე დაწესებული შეღავათი კახეთის რეგიონში, სოფელ კაჭრეთის ტერიტორიაზე გავრცელდა. კაჭრეთის გარდა, გამონაკლისია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია. ბათუმში, დუშეთის რაიონში — ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქობულეთსა და ბორჯომში მოსაკრებელი 250 ათასი ლარია, ის სამორინე კი, რომლის მფლობელიც ქალაქში 100-ნომრიან სასტუმროს გახსნის, სალიცენზიო გადასახადისგან თავისუფლდება. წყალტუბოს რაიონის ტერიტორიაზე სანებართვო მოსაკრებელი სამორინეს მოწყობისათვის გაუქმებულია.

მსოფლიო

დღეს კაზინოები ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის მრავალ ქვეყანაში არსებობს, თუმცა, ზოგან კაზინო მაინც აკრძალულია. ამ ქვეყნებს შორისაა მექსიკა, თურქეთი, ნორვეგია, კვიპროსი (ბერძნული ნაწილი), ისრაელი, აზერბაიჯანი, ბრაზილია და ა.შ. ამერიკაში კი ყველაფერი შტატზეა დამოკიდებული, ზოგიერთ შტატში კაზინოს გახსნა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია, მდინარე მისისიპიზე კი ხომალდებზე განლაგებული კაზინოები დაცურავენ, რადგან აქ კაზინოს ხმელეთზე არსებობა აკრძალულია. თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში აშშ აზარტული თამაშების ნომერ პირველ ქვეყნად რჩება. ნევადას შტატი, რომლის კაზინოებიც მთელ მსოფლიოში განთქმულია, „აზარტულ“ შტატად არცთუ დიდი ხნის წინ იქცა. აზარტული თამაშები ამ შტატში ოფიციალურად 1931 წელს დაუშვეს, ხოლო პირველი კაზინო — „ფლამინგო“, რომელმაც ლას-ვეგასისთვის აზარტული თამაშების დედაქალაქის სახელის მოპოვებას ჩაუყარა საფუძველი, 1947 წელს გაიხსნა.

აზარტული თამაშების ისტორიიდან საინტერესო ფაქტებიც სწორედ აშშ-ს უკავშირდება. როგორც ამბობენ, ამერიკის შეერთებული შტატების 37-ე პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს პოკერის თამაში უყვარდა. სწორედ პოკერის „დახმარებით“ შეაგროვა მან საჭირო თანხა წინასაარჩევნო კამპანიისთვის. თუმცა, მის გარდა, აზარტული თამაშები სხვა პრეზიდენტებსაც იზიდავდა. აშშ-ის 43 პრეზიდენტიდან 19 — პოკერს თამაშობდა.

მარი მელიქიშვილი

◎ ზაფხული ჩვენი მღელვარებისა

რა ღირს დასვენება საქართველოს ცნობილ კურორტებზე?

საქართველოში **საკურორტო სეზონის მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო აქტუალური ხდება, სად გავატაროთ სასიამოვნოდ შვებულება რთული და დამღლელი სამუშაო წლის შემდეგ.**

ჩვენს ქვეყანაში არსებული ბევრი კურორტიდან, ერთ-ერთი გამორჩეული ბახმაროა. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ბახმაროში დასვენება რეკომენდებულია სისხლნაკლებობით, ასთმით, ასევე ფილტვებისა და სასუნთქი გზების დაავადებების მქონე ადამიანებისთვის. ბახმაროში საკურორტო სეზონი ზაფხულში იხსნება და 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულზე სრულდება, თუმცა, დამსვენებელთა სიმრავლე კურორტზე აგვისტოს ბოლომდე შეინიშნება. საკურორტო სეზონის განმავლობაში კოტეჯის დაქირავების ფასი 1000 დოლარიდან იწყება და 3000 დოლარსაც კი აღწევს. სასტუმრო ნომრის ფასი კი 130 დოლარიდან იწყება და 200 დოლარამდე მერყეობს. თანხაში შედის ოთხჯერადი კვება.

145 დოლარს აღწევს დასვენება სამჯერადი კვებით **„ბორჯომი პალასში“**. სასტუმროში ფუნქციონირებს კინოთეატრი, სტუმრებისთვის ეწყობა ცხენებითგასეირნება. სტუმრებს ასევე ემსახურება ელექტრომობილი, რომელიც ქალაქის ღირსშესანიშნაობებს დაგათვალიერებინებთ.

თუ სასტუმრო **„საირმეში“** მაისის თვეში დასვენება გსურთ, მდინარის ხედით ნომრის ღირებულების ფასი ერთი დღით 79 დოლარი, ბუნების ხედით ნომერში დასვენება კი 69 დოლარია. მომსახურებაში შედის სამჯერადი კვება, შვედური სუფრა და ექიმის პირველადი კონსულტაცია. თუმცა, განსხვავებული ფასის გადახდა მოუწევს მათ, ვინც სასტუმრო „საირმეში“ დასვენებას ივნისის თვეში გადაწყვეტს — მდინარის ხედით ნომერში 99 დოლარის გადახდა მოგიწევთ, ბუნების ხედით ნომერში კი — 89 დოლარის.

„სანსეტ შოვი“ პირველი ოთხვარსკვლავიანი სასტუმროა რაჭაში. როგორც სასტუმროში აცხადებენ, „სანსეტ შოვი“ მაღალი ხარისხის მომსახურებითა და სტუმრების ინტერესის გათვალისწინებით საკუთარი გასართობი პროგრამებით გამოირჩევა. სასტუმრო 15 მაისიდან იხსნება და საკურორტო სეზონი სექტემბრის ბოლომდე გრძელდება. სასტუმროში ერთი ნომრის მინიმალური ფასი 60 დოლარიდან იწყება, მაქსიმალური ფასი კი 100 დოლარს აღწევს. სასტუმროს მომსახურებაში შედის სამჯერადი კვება.

წყალტუბოში, **სასტუმრო „წყალტუბო პლაზაში“ მინიმალური** ფასი 25 დოლარიდან იწყება და მაქსიმალური ფასი 80 დოლარამდე აღწევს. სასტუმროს მომსახურებაში შედის სამჯერადი კვება. თუ ჯერ კიდევ ფიქრობთ, სად გაატაროთ შვებულება, იმედია, ჩვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არჩევანის გაკეთებას გაგიადვილებთ.

თიკო გურაშვილი

◎ არც პირველი, არც უკანასკნელი

ლევან ყიფიანი, სავარაუდოდ, პოსტიდან გადაყენებულია

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი დაკავებული თანამდებობიდან, სავარაუდოდ, გადაყენებულია. როგორც for.ge-ს პოლიტიკურ კულუარებში განუცხადეს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ყიფიანს პოსტი დაატოვებინა.



წყაროს ცნობით, მთავრობის ხელმძღვანელმა ყიფიანის თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილება ორშაბათს გვიან ღამით მიიღო.

for.ge აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმებას თავად ლევან ყიფიანთან შეეცადა, თუმცა, მან არც ჩვენს სატელეფონო ზარებს და არც მოკლე ტექსტურ შეტყობინებას არ უპასუხა.

ყიფიანისგან განსხვავებით, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტის წევრებმა for.ge-ს სატელეფონო ზარებს უპასუხეს, თუმცა, მათ მინისტრის პოსტიდან წასვლის თაობაზე ინფორმაცია არც უარყვეს და არც დაადასტურეს. კანონმდებლები დაგვპირდნენ, რომ დღის განმავლობაში ინფორმაციას დააზუსტებენ და შეფასებას მოგვიანებით გააკეთებენ.

იმ შემთხვევაში, თუკი ლევან ყიფიანის პოსტიდან წასვლა დადასტურდება, მთავრობა ნდობის გამოცხადებისთვის პარლამენტში შევა, რადგან კონსტიტუციის მიხედვით, მინისტრთა კაბინეტის 1/3-ის შეცვლის ანუ პოსტიდან მეშვიდე მინისტრის წასვლის შემდეგ დეპუტატები მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებაზე მსჯელობენ.

აღსანიშნავია, რომ წყაროს ცნობით, შესაძლოა, ყიფიანის გარდა, პოსტების დატოვება თავდაცვის მინისტრ მინდია ჯანელიძესა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიასაც მოუწიოთ.

თუკი ჯანელიძე-დანელიას პოსტიდან გაშვებას ოპოზიცია ითხოვდა, ყიფიანს პარლამენტის სპორტის კომიტეტის 11 წევრი დაუპირისპირდა და მათ შორის კონფლიქტი 25 მარტს გამართულ დახურულ სხდომაზე გამწვავდა, რომელიც ექსკლუზიურად for.ge-მ გააშუქა.

შეგახსენებთ, რომ სპორტსმენმა დეპუტატებმა სპორტის სამინისტროს 2014 წლის საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს და დოკუმენტი შემდგომი რეაგირებისთვის პრემიერ-მინისტრს გადაუგზავნეს. ამასთანავე, დეპუტატები დაიმუქრნენ, რომ თუკი ირაკლი ღარიბაშვილი ყიფიანს თანამდებობაზე დატოვებდა, ისინი მინისტრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დასვამდნენ.

სპორტსმენ დეპუტატებს ყიფიანის პოსტიდან გაშვებასთან დაკავშირებით ლოდინი დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში მოუწიათ, მაგრამ მათ ამ ვადაში საქმის კურსში, სავარაუდოდ, ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ჩააყენეს, რომელსაც ბიზნეს-ცენტრში ეწვიენ. ამას გარდა, კანონმდებლებმა ყიფიანის უწყების მიმართ საკუთარი უკმაყოფილება განცხადების სახით ჩამოაყალიბეს და საკუთარი კითხვები ათ პუნქტად გამოაქვეყნეს, რომელთა შორის პრეტენზიები სამინისტროს მიერ საბიუჯეტო სახსრების განაწილებას, ასევე მასობრივი სპორტის განვითარებასა და უწყებაში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციას უკავშირდებოდა.

იმ შემთხვევაში, თუკი მინისტრთა კაბინეტს ნდობის გამოცხადება მოუწევს, უმრავლესობის 76 დეპუტატის მობილიზება დასჭირდება, რადგან მთავრობის ხელახალი დამტკიცებისთვის სწორედ ამ რაოდენობის ხმებია აუცილებელი.

თეონა მანაგაძე

◎ ტრიუმფატორები

სამშობლო გულში იხუტებს

გუშინ თბილისში დაბრუნდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, რომელმაც ჩინეთის ქალაქ ჩენდუში გამართულ მსოფლიოს მეხუთე გუნდურ ჩემპიონატზე ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ განვლილ ანალოგიურ ფორუმებზე სამჯერ მასპინძლებმა იძალეს და ერთხელ – უკრაინელებმა. და აი, გაზაფხული ჩვენს ქუჩაზეც მოვიდა. დიახ, დიდი ნონასა და მაიას თანამემამულენი აქამდეც იმსახურებდნენ შედარებით ახალ, თუმცა, მეტისმეტად პრესტიჟულ ტიტულს. რომ იტყვიან, სამართალმა, ბოლოს და ბოლოს, პური ჭამა.

„ჯვაროსანთა“ სპორტულ გმირობაზე მომავალში უფრო საფუძვლიანად ვისაუბრებთ, ახლა კი, მოდით, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს გია გიორგაძეს მოვუსმინოთ: „გუნდის ლიდერის ნანა ძაგნიძის არყოფნაში, რომელსაც 1 აპრილს მეორე შვილი შეეძინა, საუკეთესოდ წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები ბელა ხოტენაშვილმა („ოქრო“ I დაფაზე), ლელა ჯავახიშვილმა, ნინო ბაციაშვილმა, მერი არაბიძემ (მან განსაკუთრებით ფინიშზე „აიწყვიტა“) და სალომე მელიამ. ვფიქრობ, სასიკეთოდ იმოქმედა ესპანეთიდან სამშობლოში გამოცდილი მწვრთნელის, დიდოსტატ ელიზბარ უბილავას დაბრუნებამ, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ჩვენს მანდილოსანთა ერთ მუშტად შეკვრაში. შეიძლება, არც იცოდეთ, რომ ბორჯომის შეკრებაზე ისინი აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების ისეთ ეგზოტიკურ სახეობაში ვარჯიშობდნენ, როგორიცაა უშუ“...

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ზოგს ოცნება აუხდა

ლევან ყიფიანი: მე ვაფრთხილებ ყველას, ნუ დაბრუნდებით უკან, რაზეც უარი ვთქვით რამდენიმე წლის წინათ

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა აწ უკვე ყოფილი მინისტრი ლევან ყიფიანი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს წერილით მიმართავს.

როგორც ყიფიანმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, წერილში ყველა იმ კითხვაზეა პასუხი გაცემული, რომლებიც ბოლო თვეების განმავლობაში მისი და უწყების გუნდის მიმართ სპორტის საპარლამენტო კომიტეტის მხრიდან დაისვა.

„ყველა იმ კითხვაზე, რომელიც დაისვა, ყველა იმ ტყუილზე, რომელიც ჩემი და სამინისტროს მისამართით ითქვა, პასუხები გაცემულია ვრცელ წერილში, რომლითაც მივმართავ პრემიერ-მინისტრს, თუმცა, სწორედ იმის გამო, რომ არ მინდა, გავხდე სპეკულაციის ნაწილი, ვტოვებ ჩემს თანამდებობას. იმედია, საზოგადოება სწორად გაიგებს ამ გადაწყვეტილებას. მე ვრჩები სპორტში და მზად ვარ, მწვავე კითხვებს მომავალშიც გავცე პასუხი – სუფთა რეპუტაციით, სუფთა ხელებით, გახსნილი გულით და ერთიანი ძალისხმევით“, – განაცხადა ლევან ყიფიანმა.

ამასთან, მან პრემიერსა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მომავალ მინისტრსაც მიმართა და მოუწოდა, რომ უწყებაში დანერგილი კურსი შეინარჩუნონ.

„ვთხოვ პრემიერ-მინისტრს და იმ ახალ მინისტრსაც, რომელიც მოვა – შეინარჩუნონ ის კურსი, რომელიც მიზნად დაისახა სამინისტრომ ამ მოკლე ხანში და ნუ იქნება უკან დაბრუნების მცდელობა. მე ვაფრთხილებ ყველას, ნუ დაბრუნდებით უკან, რაზეც უარი ვთქვით რამდენიმე წლის წინათ“, – აღნიშნა ყიფიანმა.

ბეჟან დოლიძე

P. S. **გუშინდელ ბრიფინგზე ლევან ყიფიანი პერსპექტივასაც შეეხო და არ გამორიცხა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენების შესაძლებლობა.**

ბ. დ.

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

26 მაისს დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს თბილისის „დინამო“ და „სამტრედია“ შეხვდებიან.

ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა, როგორ მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინათ ეროვნულ ჩემპიონატში მტკივნეული მარცხი იწვნია „ცხინვალისგან“ – 1:4 და საგრძნობლად შეიმცირა ოქროს მედლების მოპოვების შანსი. ბედის ირონიით, კახი გოგიჩაიშვილის გუნდმა ამჯერადაც წააგო იმავე მეტოქესთან – 0:1, მაგრამ რადგან პირველი ნახევარფინალური მატჩი 2:0 ჰქონდა მოგებული, ორრაუნდიანი დუელის გამარჯვებულიც ის გახდა, თუმცა ქებას კახი კაჭარავას შეგირდებიც იმსახურებენ.



რაც შეეხება იმერულ დერბის, სამტრედიელებმა ორივე ბრძოლაში დაჯაბნეს საჩხერის „ჩიხურა“ – 2:1 და 3:0, რითაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ევროტურნირებზე დაბრუნების რეალური შესაძლებლობა გაუჩნდათ. აღსანიშნავია, რომ საპასუხო თამაშში ერთ-ერთი გოლი უბერებელმა ბომბარდირმა ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა.

* * *

ინგლისი. „ჰალი“ – „ლივერპული“ 1:0.

იტალია. „უდინეზე“ – „ინტერი“ 1:2.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „ხეტაფე“ 6:0, „ბილბაო“ – „სოსიედადი“ 1:1.

საფრანგეთი. „პსჟ“ – „მეცი“ 3:1.

გერმანია. თასის ნახევარფინალი. „ბაიერნი“ – „ბორუსია“ (დორტმუნდი) 1:1 (პენალტებით 0:2).

გიორგი ფოთაძე

◎ ხელბურთი

დანაკლისით, მაგრამ იმედით

დღეს ქუთაისში ხელბურთელ ვაჟთა 2018 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი გაიმართება – საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. 3 მაისს განმეორებითი პაექრობა სტუმრად ჩატარდება. ჯგუფში ჯერ-ჯერობით საქართველომ და ესტონეთმა ითამაშეს ერთმანეთთან და აბსოლუტურად თანაბარი მდგომარეობა აქვთ – თითო მოგება, ბურთების ნულოვანი სხვაობა (55:55) და 2-2 ქულა.

საქართველოს ნაკრები დღეს სარბიელზე ასეთი შემადგენლობით გამოვა: შოთა თევზაძე („ოდორჰეი“, რუმინეთი), გიგა ტორონჯაძე („ტრაბზონსფორი“, თურქეთი), ილია გოგალაძე, ზურაბ აბრამიშვილი („ბათუმი“), რევაზ ჭანტურია („სტრუმიცა“, მაკედონია), რობერტ ბეჟანიშვილი (სტუ), გიორგი გვაზავა (სტუ), უჩა მაისურაძე („ქუთაისი“), შოთა გრიშიკაშვილი („ბათუმი“), აკაკი ტალახაძე („თავრიზი“, ირანი), უჩა გამზარდია („ბათუმი“), ირაკლი ჩიქოვანი („ტიმიშოარა“, რუმინეთი), ზურაბ სიმონია, ლექსო წითელიშვილი („თუთუნსფორი“, თურქეთი), სერგო დათუკაშვილი („ვოივოდინა“, სერბეთი), **მთავარი მწვრთნელი** – ირაკლი კეკელიძე, **მწვრთნელი** – ბექარ ორჯონიკიძე, **ექიმი** – ლევან ლინიკი. **მსაჯები:** ძმიტრი ნაბოკაუ, სიარჰეი კულიკი (ბელარუსი), **დელეგატი:** დელიან გენჩევი (ბულგარეთი).

საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგთან ორ მატჩს სერიოზული დანაკლისით ხვდება – არ იქნებიან რატი მსხვილიძე, სერგო დათუკაშვილი და ვლადიმერ რუსია. მსხვილიძე შარშან 2 ნოემბერს ესტონეთთან მატჩში დაშავდა, დათუკაშვილი მატჩის განაცხადშიც იქნება, მაგრამ კუნთგაწყეტილის თამაში გამორიცხულია, ვლადიმერ რუსიას კი სხვა პრობლემა აქვს: რუმინეთში პირველ შვილს ელოდება და მეუღლის მარტო დატოვება არ შეუძლია.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: უტევს ირაკლი ჩიქოვანი.

◎ გამოიცა

წიგნი, რომელიც მეგობრობისა და სიკეთისკენ გვიხმობს

დიდი ხანია, ვიცნობ გაბრიელ ნამთალაშვილს – ნიჭიერ ჟურნალისტს, კეთილშობილ პიროვნებას და დიდად განსწავლულ კაცს. მისი მეტად აქტუალური, ღრმად ერუდირებული და საინტერესოდ საკითხავი სტატიები და კორესპონდენციები უკვე რამდენიმე ათეული წელია, იბეჭდებოდა და იბეჭდება რესპუბლიკურ თუ საკავშირო, ამჯერად კი – რუსულ, პერიოდულ პრესაში. მკითხველიც ბევრი ჰყავს მას და დამფასებელიც. მის პუბლიკაციებში ვერ ნახავ ტრაფარეტს, უმიზნო ფრაზებს და სიყალბეს. ამიტომაც დაიმსახურა მან მკითხველთა მაღალი, უზადო შეფასება და პატივისცემა.

დიდად პოპულარულია და მკითხველთა მაღალ შეფასებას იმსახურებს მისი რედაქტორობით გამომავალი (ბეჭდვითი და ელექტრონული ვერსიებით) ყოველთვიური გაზეთი „26 საუკუნე“, რომელიც ძირითადად ქართველი და ებრაელი ხალხების 26-საუკუნოვან უღალატო ძმობასა და მეგობრობას ეძღვნება.

მაგრამ, როდესაც მისი ახლახან გამოცემული წიგნი „გასეირნება ფეთხაინზე“ (რუსულ ენაზეა) წავიკითხე, ჩემი შთაბეჭდილება, ჩემი შეფასება და აღქმა გაბრიელ ნამთალაშვილსა და მის შემოქმედებაზე მეტად გაიზარდა და გაღრმავდა. ეს წიგნი (იგი ძირითადად და უმთავრესად ქართველ ებრაელობას ეძღვნება) არის ღრმად მეცნიერული, მეტად შთამბეჭდავი და ქართველი და ებრაელი ერების 26-საუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის, განუყოფლობის, ერთგულების მატიანე. მე მას ამ ურთიერთობათა მცირე ენციკლოპედიასაც ვუწოდებდი.

ფეთხაინი – ეს თბილისელ ებრაელთა უძველესი დასახლების სახელია, რომელსაც ურიათუბანსაც უწოდებდნენ. და როდესაც ამ სახელწოდებაზე საუბრობ, გ. ნამთალაშვილი წერს: „ჩემში მეტ მოწიწებას იმსახურებდა სახელწოდება „ფეთხაინი“ – მისგან მოდიოდა განსაკუთრებული ყაიდა, ტრადიციულობა, აღმოსავლური ნირფეროვნება, იმპულსური ემოციურობა და, ამავე დროს, ბიბლიური დარბაისლურობა და გონივრულობა, მოდიოდა მარადიულობა“.

ამჟამად ეს სახელწოდება ერთგვარად მივიწყებულია, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელს ატარებს დიდი ქართველი ებრაელის გერცელ ბაასზოვის რომანი.

და გ. ნამთალაშვილის ეს წიგნი თბილისის მხოლოდ ამ უბნის აღწერითა და ისტორიით როდი შემოიფარგლება. ესაა – მხატვრული ენითა და სახეებით აღწერილი ერთ-ერთი უნიკალური მეცნიერული გამოკვლევა მთელი საქართველოს ებრაელი მოსახლეობის შესახებ, რომლებიც თბილისის გარდა, კომპაქტურად სახლობდნენ ქუთაისში, ცხინვალში, ბანძაში, სუჯუნაში, კულაშში, ახალციხეში, ქარელში, საჩხერესა და სხვა ადგილებში.

მაგრამ მისი ყურადღება მაინც ფეთხაინზეა გამახვილებული, ესაა წიგნის ძირითადი ფუძე, საიდანაც იწყება, ავტორის შეფასებით, მთელი ქართველი ებრაელობის ისტორია, წარსული და თანამედროვეობა. „დღეს ხშირად მხვდება ქსელში სიტყვები „ჩვენი ფეთხაინი“... , – წერს ავტორი, – თითქოს ესაა რაიონი, რომელზეც ვრცელდება ვიღაცის პრივილეგირებული უფლება, თითქოს იგი შეიძლება აიღო და გადაიტანო სადღაც, ლამის საქართველოს საზღვრებს მიღმა. არა, რასაკვირველია, ესაა ჩვენი გულისთვის ძვირფასი თბილისის, მთელი საქართველოს ნაწილაკი. და მახლობელია იგი ჩვენთვის, უწინარეს ყოვლისა, როგორც სულიერი და ფიზიკური სიმბოლო, რომელიც განიხილება უშუალოდ საქართველოს დედაქალაქის ისტორიისა და თანამედროვეობის კონტექსტში, საეჭვო მინიშნების გარეშე მის განსაკუთრებულ კუთვნილობაზე“.

წიგნში საუბარია ბევრ ცნობილ ქართველ ებრაელზე, რომლებმაც სახელი გაუთქვეს საქართველოსაც და ებრაელობასაც, ასევე ნაკლებად ცნობილ პიროვნებებზეც, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართულ-ებრაული ურთიერთობის გაღრმავებასა და განმტკიცებაში.

წიგნში 36 თავია და თითოეული მათგანი ესაა ერთგვარი ნოველა, რომელიც იკითხება დიდი ინტერესით და შეუქცევლად. მაგრამ არ შემიძლია, განსაკუთრებით არ შევჩერდე თავზე, რომელსაც ეწოდება „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიური პროტოტიპები. შეუძლებელია წაიკითხო ეს თავი მღელვარების გარეშე. აი, ერთი მონაკვეთი ამ თავიდან. „მეცნიერები, ამბობს შალვა გაბესკირია (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი), გამოთქვამენ სხვადასხვა ვერსიას ტარიელისა და ავთანდილის პროტოტიპებთან დაკავშირებით. ზოგიერთი მათგანის აზრით, პროტოტიპები არიან საქართველოს XII საუკუნის გმირები – დავით სოსლანი, მეფისწული დემნა და სხვები, ტარიელისა და ავთანდილის პროტოტიპი შეიძლება იყოს ბიბლიური მეფე დავითი, ისრაელის მეორე მეფე“.



და აქ ავტორი გამოთქვამს თავის ვარაუდს. შეიძლება დაეთანხმო ამ ვარაუდს ან არ დაეთანხმო, მაგრამ ესაა შესანიშნავი ნიმუში მკითხველთან ურთიერთობისა ამა თუ იმ სადავო საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ იგი გხიბლავს, გიწვევს დავაში და განიჭებს კმაყოფილებას.

ანდა ავიღოთ, თუნდაც, თავად ფეთხაინის სახელწოდება. ავტორს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს პროფესორ, არქიტექტურის დოქტორის შოთა ბოსტანაშვილის მოსაზრება, რომ სახელწოდება ფეთხაინი თავისი ხმოვანებით ახლოა ებრაულ სიტყვასთან, რომელსაც მარადიული სიცოცხლის სახლს ნიშნავს.

ასეთი მომენტები წიგნში უხვადაა. ისინი გხიბლავენ, გიზიდავენ და გაფიქრებენ.

ერთი სიტყვით, წიგნში ბევრი რამაა, რაც გიტაცებს, ჩაგაფიქრებს და საკუთარ აზრს გაგიჩენს.

წიგნზე საუბარი კიდევ დიდხანს შეიძლება, მაგრამ, დასასრულ, მინდა, მაინც ხაზგასმით აღვნიშნოთ: გაბრიელ ნამთალაშვილის წიგნი „გასეირნება ფეთხაინზე – 26 საუკუნე საქართველოში: დრო და ბედისწერები“ აუცილებლად უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზეც. ეს ჩვენი ხალხისთვისაც, ჩვენი ამდენსაუკუნოვანი მეგობრობისთვისაც და მომავლისთვისაც უაღრესად საჭირო რამაა.

ზურაბ ლომიძე

სანთელი

კონსტანტინე (კოტე) უჩანეიშვილი

გარდაიცვალა ქართული ტექნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მშენებელი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი **კონსტანტინე ვასილის ძე უჩანეიშვილი**.

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ საქმეს ასრულებენ ყოველგვარი ხმაურისა და ზედმეტი ემოციების გარეშე და რომლებსაც ბედმა არგუნა მუდამ მნიშვნელოვანი მოვლენების ეპიცენტრში ყოფნა და მოღვაწეობა. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა ბატონი კოტე, ვის მიერაც განვლილი ცხოვრებისეული გზა ამის ნათელი დასტურია.

კონსტანტინე უჩანეიშვილი დაიბადა 1925 წლის 16 სექტემბერს ქ. ფოთში, რეპრესირებულთა ოჯახში. საშუალო სკოლა დაამთავრა ქ. თბილისში და 1950 წელს – თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით. იმავე წელს იგი განაწილებით გაგზავნილ იქნა ქ. ტყიბულში, სადაც სულ მოკლე დროში ფრიად მნიშვენლოვანი სამთო-სამრეწველო ობიექტის მშენებლობის უბნის უფროსი ხდება. 1953 წელს გადმოჰყავთ თბილისში, კომბინატ „საქნახშირის“ ადმინისტრაციული შენობის (ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია), ხოლო 1957 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალი კორპუსების მშენებლობაზე უბნის უფროსად, მასვე მიანდეს საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მშენებლობის ხელმძღვანელობა.

შემდგომი მისი შრომითი საქმიანობა ბევრ სახელოვან მოვლენასთან იყო დაკავშირებული, როგორც საქართველოს მშენებლობის სამინისტროს №3 ტრესტ „თბილმრეწვმშენის“ №2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მთავარი ინჟინერი, ხოლო შემდგომში ამავე ტრესტის საწარმოო კომბინატის დირექტორი. იგი უშუალო მონაწილეა ქ. თბილისში ისეთი ღირსშესანიშნავი ობიექტების მშენებლობისა, რომლებიც ქ . თბილისის მშვენებას წარმოადგენენ – მრავალსართულიანი ექსპერიმენტული კლასიკური 1100-საწოლიანი საავადმყოფო ვაჟა-ფშაველას გამზირზე, საპროექტო ინსტიტუტების „საქსახლმშენქალაქპროექტის“ და „საქსახკვებმრეწვპროექტის“ მაღლივი კორპუსები ჭავჭავაძის გამზირზე, კიბერნეტიკისა და „თბილზნიეპის“ კორპუსები ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლოში და მრავალი სხვა.

შემდგომი ეტაპი მისი მოღვაწეობისა, 1974-80 წლები დაუკავშირდა საქართველოში სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას. იგი ინიშნება საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „მშენინდუსტრიის“ მთავარ ინჟინრად.

სწორედ ამ წლებთან არის დაკავშირებული მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე გადასვლა.

კიდევ უფრო გაიბრწყინა მისმა შემოქმედებითმა თუ ორგანიზაციულმა ნიჭმა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს №7 ტრესტის „საქშახტმშენის“ მმართველად მუშაობის დროს (1980-85 წლები).

გავიდა დრო და როდესაც საქართველოში გადაწყდა სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილება და გაერთიანდა ორი – მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროები, იგი მიწვეულ იქნა გაერთიანებული „საქმშენინდუსტრიის“ ხელმძღვანელად.

მას არც პენსიაზე გასვლის შემდეგ შეუწყვეტია აქტიური მოღვაწეობა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საწარმოო განმკარგულებელი სამმართველოს სათავეში ყოფნის პერიოდში აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოში სოფლის მეურნეობის დანიშნულებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ობიექტების მშენებლობაზე.

შრომითი გზა და მოღვაწეობა ერთია, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ იგი იყო არა მარტო დიდი მშენებელი, არამედ, პირველ რიგში, საამაყო მოქალაქე და უგანათლებულესი პიროვნება, მშობლიური ქვეყნის პატრიოტი და ნამდვილი სიტყვის კაცი, კარგი მომლხენიცა და მოჭირნახულეც, შესანიშნავი მეოჯახე და მეგობრობის ეტალონი. ღმერთმა გვარგუნა ბედნიერება, ჩვენს შორის შემდგარი ურთიერთობა და მეგობრობა მრავალი ათეული წლის მანძილზე სიყვარულით გვეტარებინა და რომელიც ასერიგ გვილამაზებდა მთელ ჩვენ ცხოვრებას. სწორედ ამიტომაცაა ჩვენთვის, ყრმობისა და ინსტიტუტის მეგობრებისთვის, ყველაზე მტკივნეული და ძნელად აღსაქმელი, ჩვენს უერთგულეს კოტესთან გამოთხოვება!

ნათელში ამყოფოს სული მისი, ამინ!

ლამარა მასხარაშვილი, მილიცა ნადირაძე, იამზე ფანცხავა, ნათელა ჭედია, გია გიგიბერია, ადიკო გვალია, ანატოლი გეწაძე, ნოდარ მეძმარიაშვილი, ირაკლი მილორავა, ნოდარ ჩიბალაშვილი, გუგა ჭოხონელიძე.

◎ ინფორმაცია

თბილისში მტკვრის დონე რამდენიმე დღით დაიწევს

აღნიშნულის მიზეზი ზაჰესისა და ორთაჭალაჰესის წყალსაცავებზე მიმდინარე გეგმური სამუშაოებია.

„30 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ჰიდროენერგო დეპარტამენტი ზაჰესისა და ორთაჭალაჰესის წყალსაცავებზე გეგმურ სამუშაოებს განახორციელებს. კერძოდ, მოხდება წყალსაცავების გარეცხვა, რაც მიზნად ისახავს წყალსაცავებში დაგროვილი ნაგვისა და ნატანის გატანა-გაწმენდას. აღნიშნული სამუშაოები განხორციელდება ყველა უსაფრთხო ნორმის დაცვით. ის შეთანხმებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან, გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან.

ორთაჭალაჰესის წყალსაცავის გარეცხვა ხდება ზაჰესის წყალსაცავის გარეცხვის პარალელურად. გარეცხვითი სამუშაოები გაგრძელდება 4 დღე. ამ დროის მანძილზე ორივე ჰიდროელექტროსადგური იქნება დროებით გაჩერებული, ხოლო მდინარე მტკვარში წყლის დონე დაიწევს და დაუბრუნდება ბუნებრივ ნიშნულს“, – აცხადებენ კომპანიაში.

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ ინფორმაციით, სამუშაოების წარმოება არ გამოწვევს ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვას.

რუსთავში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნილია

შსს-ს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ერემეი ბ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული რუსთავში, ზედგენიძის ქუჩაზე, თავს დაესხა 78 წლის მამაკაცს, მუცლის არეში ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა, რის შემდეგაც დაეუფლა მის კუთვნილ 175 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ერემეი ბ. რუსთავში, საკუთარი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

**რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87;
568 82-09-84...**

განცხადება

2015 წლის 8 მაისს 14 საათზე, თბილისში, ვაჟა-ფშაველას 43/1, შპს „ელიტა 2“-ის დარბაზში განმეორებით ტარდება თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება.

კოოპერატივის გამგეობა

◎ ყველაზე მოთხოვნადი ვაკანსიები

რა პროფესიის ადამიანებს აქვთ მეტი შანსი

კონსულტანტი, დისტრიბუტორი, სტილისტი — შეიძლება ითქვას, რომ ეს საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი ვაკანსიების ტოპ-სამეულია. დამსაქმებლები სწორედ ამ სფეროში მომუშავე ხალხს ითხოვენ. როგორც Ambebi.ge-ლ Saqme.ge-ს რედაქტორმა ლელა არაბულმა უთხრა, დასაქმების ბაზარზე ძირითადი მოთხოვნა მომსახურების სფეროზეა, სადაც მინიმუმ ერთწლიან სამუშაო გამოცდილებას ითხოვენ და საშუალო ხელფასს გთავაზობენ.

— ყველაზე ხშირად ითხოვენ კონსულტანტებს, სტილისტებს, ავტო მრეცხავებს, მენეჯერებს, დისტრიბუტორებს, პრომო გოგონებსა და ბიჭებს, ასევე, პოპულარულია ქსელური მარკეტინგი, როცა გთავაზობენ დასაქმებას და ხელფასის ზრდის პერსპექტივას. იშვიათად ეძებენ ექიმს. შეიძლება მოთხოვნა იყოს სტომატოლოგზე. ზოგჯერ შეხვდებით ვაკანსიებსაც, სადაც ბანკები ეძებენ კადრებს.

— დროის მიხედვით თუ იცვლება ვაკანსიები?

— ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ამ მხრივ ცვლილება მნიშვნელოვნად დიდი არ არის.

— საშუალოდ, ხელფასს რამდენს სთავაზობს დამსაქმებელი?

— რაც შეეხება ხელფასს, ძირითადად არ უთითებენ ხოლმე, თუმცა, ყველაზე ხშირად მითითებული ხელფასის რაოდენობა 350-დან 800 ლარამდე მერყეობს. განთავსებულ განცხადებებში დამსაქმებლის ძირითადი მოთხოვნა სამუშაო გამოცდილება და პროფესიის შესაბამისი უნარ-ჩვევების ქონაა. განცხადებებს ძირითადად კერძო პირები ანთავსებენ, თუმცა, არის მოთხოვნა საჯარო სექტორიდან და სახელმწიფო უწყებებიდან.

— როგორც ვიცით, თავად სამუშაოს მაძიებლებიც აგზავნიან განცხადებებს, ძირითადად, რომელ სფეროში ითხოვენ დასაქმებას?

— ჩვენს ვებგვერდზე Saqme.ge თავად მომხმარებელსაც შეუძლია განცხადების განთავსება, ანუ მათ, ვინც სამსახურს ეძებს. ამ კუთხით ყველაზე ხშირად მოთხოვნა აქვთ ბუღალტრებს ან ოჯახში დამხმარეებს, ძირითადად ძიძებს.

თაკო ესეგუა
Ambebi.ge

◎ იყიდეთ, იყიდეთ ჩძარა თორემ!..

ათი ყველაზე ეჩვეულო ბიზნესი საქართველოში

„გამძრალი“ სირაქლემები, მშვენიერი პავლონიები და მღრღნელების წინააღმდეგ მებრძოლი აპარატი...

მსოფლიოში ათასგვარი უცნაური ბიზნესი არსებობს: ადამიანები ყიდიან თითქმის ყველაფერს — მარტორქისა და ირმის რქებს, ცნობილი პიროვნებების ინტიმურ ნივთებსა და ხელნაწერებს, საკუთარ თმასა და სხეულის ორგანოებსაც კი... მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ამ მხრივ საკმაოდ კონსერვატიულები ვართ, აქაც არაერთ ადამიანს დაუწყია ბიზნესი, რომელიც საქართველოსთვის უცხო ხილი იყო. ზოგიერთი მათგანი დღესაც არსებობს, ზოგმა კი არ გაამართლა და დაიხურა.

პირველ რიგში, ალბათ, ეგზოტიკური ცხოველების ბიზნესი უნდა გავიხსენოთ, რომელიც რამდენიმე წლის წინათ საკმაოდ პოპულარული იყო, მაგრამ ჩვენს პირობებში სრული კრახი განიცადა. ამ მარცხით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სულაც არ არის საკმარისი აწარმოო მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნადი და პოპულარული პროდუქცია, თუ გასაღების სისტემა კარგად არა გაქვს აწყობილი:

ბაყაყების ექსპორტი საქართველოდან 2009-2011 წლებში ხორციელდებოდა. ამ პროდუქციას სერიოზული მომხმარებელი ჰყავდა საფრანგეთის სახით, თანაც, ბაყაყის ხორცი და თათები ევროპაში ძალიან მოსწონთ, მაგრამ 2011 წელს მათი ექსპორტი შეწყდა. როგორც ამბობდნენ, ქართული ბაყაყი გაცილებით გემრიელი იყო ფრანგულთან შედარებით, მაგრამ მის მწარმოებლებს ძირითადად უცხოური ბაზრის იმედი ჰქონდათ, რამაც არ გაამართლა.

ამაო გამოდგა **ნიანგების მოშენების მცდელობაც:** 2010 წელს კომპანია „ფაზის პლანტის“ წარმომადგენელმა ირაკლი ჩოკოლაიამ, არგენტინის ნიანგთსაშენი ფერმიდან 4 კვერცხი შემოიტანა, საიდანაც პატარა ნიანგები გამოიჩეკნენ. თუმცა, ერთი მათგანი მაშინვე დაიღუპა, ხოლო დანარჩენებმა სამეგრელოს ჰავა ვერ აიტანეს: ფერმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში მდებარეობდა, აღმოჩნდა, რომ იქაური წყალი გოგირდს შეიცავს, რაც ნიანგის ზრდა-განვითარებას აფერხებს. იმედი, რომ საქართველოდან ნიანგის ხორცისა და ტყავის ექსპორტი დაიწყებოდა, არარეალური აღმოჩნდა.

სირაქლემას ხორცი და კვერცხი მთელ მსოფლიოში დელიკატესად არის მიჩნეული და ეს პროდუქტი ბევრ ქვეყანაში ძალიან პოპულარულია. რამდენიმე წლის წინათ მარნეულის რაიონის სოფელ თელეთში, სირაქლემების ფერმა გაიხსნა. ნიანგებისაგან განსხვავებით, სირაქლემები თავს მშვენივრად გრძნობდნენ და სულ მალე თბილისის სუპერმარკეტებში გასაყიდად სირაქლემას ხორცი და კვერცხიც გამოჩნდა, მაგრამ ქართველებმა ეს საკვები ვერ მიიღეს და მისი რეალიზაცია დიდი რაოდენობით ვერ მოხერხდა.

თუმცა, ყველა უჩვეულო და არატრადიციული ბიზნესი წარუმატებელი როდია. ამის დასტურად რამდენიმე მაგალითის მოშველიებაც შეიძლება:

ჭიაყელების გარეშე კომპანია „მაკრო-პრიმის“ საქმიანობა წარმოუდგენელი იქნებოდა: ეს კომპანია ეკოლოგიურად სუფთა ორგანულ სასუქს აწარმოებს, რომლის სახელწოდებაა „გუმი-პრიმი“. ეს არის ჭიაყელების მიერ გადამუშავებული მსხვილფეხა პირუტყვის ფერმენტირებული ნაკელი. როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, ეს უნიკალური პროდუქტია, რომლის ინტენსიური გამოყენება აღადგენს გამოფიტულ და ქიმიურად დაბინძურებულ ნიადაგს და მნიშვნელოვნად ზრდის მოსავლიანობას. ასეთი სასუქის გამოყენებით ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტი მიიღება. ამ კომპანიის ნაწარმის მიმართ დიდია ინტერესი ეგვიპტიდან, დუბაიდან, აბუდაბიდან და სხვა ქვეყნებიდან. კომპანია 2007 წელს დაფუძნდა, თუმცა, წარმოება 2011 წლიდან დაიწყო. საწარმო გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისში მდებარეობს.

ბოლო წლებში დასავლეთ საქართველოში **პავლონიების** მოშენება დაიწყეს. პავლონია ულამაზესი, ძვირადღირებული მცენარეა, რომელიც საბერძნეთში ხარობს, თუმცა, იაპონიიდან არის შეტანილი — იქ გამოყვანილი კულტურაა. იქაური წესით, როცა ქალიშვილი იბადება, პავლონიას მაშინ რგავენ და როცა თხოვდება, ამ მცენარისაგან აკვანს უმზადებენ. საქართველოში პავლონიები რამდენიმე წელია, გააშენეს. ის ძალიან სწრაფად იზრდება: ერთწლიანი ნერგი, დაახლოებით, 5-6 მეტრი სიმაღლისაა. ერთი ხიდან ნახევარი კუბური მეტრი მასალის მიღება შეიძლება, რასაც 8 წელი მაინც სჭირდება. პავლონიისაგან საკმაოდ ძვირფასი მასალა მზადდება, რომელსაც ავეჯის დასამზადებლად იყენებენ.

ზეთისხილი სულაც არ არის ტრადიციული კულტურა საქართველოსთვის, თუმცა, სპეციალისტების შეფასებით, აქაური მიწა მისთვის იდეალურია, რის გამოც ჩვენთან მოწეული ზეთისხილი ადვილად გაუწევს კონკურენციას იმპორტირებულს. კომპანია „ჯეოლაივი“ რამდენიმე წელია, საქართველოში ზეთისხილის პლანტაციების გაშენებით არის დაკავებული და მომავალში კიდევ აპირებს წარმოების გაფართოებას. გარდა ადგილობრივი, ქართული ბაზრისა, კომპანიის წარმომადგენლები უცხოური ბაზრების ათვისებასაც გეგმავენ.

კივის სამშობლო ჩინეთია, მაგრამ ის ერთნაირად კარგად ხარობს როგორც შავიზღვისპირეთში, ისე კახეთში, თუმცა, ამ პროდუქტით ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილება ვერ ხერხდება, ამიტომ იგი დიდი რაოდენობით შემოდის უცხოეთიდან. კივის რბილობი საკმარისი რაოდენობით შეიცავს ასკორბინის მჟავას, რომელიც ამაგრებს ორგანიზმის დამცავ ფუნქციას და აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას. სუბტროპიკულ კულტურათა შორის ამ მცენარეს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს, რაც განპირობებულია მისი ნაყოფის სამკურნალო და დიეტური თვისებებით. კივი ქართულ ბაზარზე კარგად იყიდება და იმ ფერმერებისათვის, ვისაც ეს კულტურა მოჰყავს, საკმაო შემოსავლის წყაროა.

შავი პომიდორი, მსოფლიოში უკვე არსებობს იასამნისფერი სტაფილო, ყვითელი ბადრიჯანი და თეთრი სატაცური. ქართველი ფერმერების თქმით, წელს სათბურებში შავი პომიდორიც გამოჩნდება. პომიდვრის ეს ჯიში ამერიკაში გამოიყვანეს. როგორც ამბობენ, ეს ერთ-ერთი ყველაზე გემრიელი ბოსტნეულია მსოფლიოში, რომელიც ტრადიციულ, წითელ პომიდორზე არანაკლებ გემრიელია.

აბა, ბიზნესი რის ბიზნესია, თუ მოგება ყველაფრისგან არ მიიღო? — თვით ისეთი მომაბეზრებელი არსებებისგანაც კი, როგორიც მღრღნელები და მავნე მწერები არიან. ქართველმა ბიზნესმენებმა მათი საწინააღმდეგო სპეციალური აპარატები შემოიტანეს:

თაგვების საწინააღმდეგო მოწყობილობა — ეს არის სპეციალური, ულტრახმოვანი მოწყობილობა მღრღნელების საწინააღმდეგოდ. მისი საშუალებით არანაირი თაგვი და ვირთაგვა აღარ შეგაწუხებთ. არ საჭიროებს არანაირ ტაბლეტსა და ხსნარს, რადგან დენზე მუშაობს. საავჭრო ქსელში იყიდება როგორც პატარა, ასევე საშუალო და დიდი ზომის აპარატები, რომელთა მოქმედების არეალი 200-600 კვ.მ-ია, ფასი კი - 50-80 ლარამდე მერყეობს. აღვილი მისახვედრია, რომ ასეთი მოწყობილობა ნებისმიერ სეზონზე აქტუალურია.

მწერების საწინააღმდეგო აპარატი — ამ აპარატის მოქმედების ზონა 15-18 მეტრია. აპარატს ორი ულტრაიისფერი ნათურა აქვს და მწერებს ქვედა ნაწილში მოთავსებულ წებოვან ქაღალდზე აგროვებს, მუშაობს ცალ ფაზაზე და მოიხმარს 0.095 კილოვატ ელექტროენერგიას. როგორც მაღაზია „რესტორატორის“ მენეჯერმა რევაზ ბახტაძემ გვითხრა, აპარატი უკვე ოთხი წელია, შემოაქვთ იტალიიდან. რეალიზაცია სეზონურია, რადგან ზაფხულობით უფრო იყიდება. რასაკვირველია, მას ყველა ყიდულობს — დაწყებული ოჯახებიდან, რესტორნებითა და კვების ობიექტებით დამთავრებული. მწერების საწინააღმდეგო აპარატები ერთმანეთისაგან ზომით განსხვავდება, მათი ფასი კი 98-600 ლარია.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **ვხედავ,** რომ შვილი გყავს, — ეუბნება მკითხავი კლიენტს.

— ჰე! ცდები, ჩემო კარგო, მე ხუთი შვილი მყავს. — ირონიული ღიმილით პასუხობს მამაკაცი.

— ეგ შენ გგონია ასე, — აზუსტებს მკითხავი.

* * *

— **ჩემ** დაბადების დღეზე ვასიკომ შარშანწინ ბრილიანტის ყელსაბამი მაჩუქა, შარშან — სიასამურის ქურქი, გუშინ კი ცოლობა მთხოვა.

— უყურე მაგ არამზადას! ეკონომიის გაწევა დაიწყო, ხომ?!

* * *

— **რა** ვქნა ჭიჭიკია, აღარ ვიცი, ეს რა დღეში ჩავვარდი! წუხელ, პახმელიაზე სუნი რომ არ მქონოდა, ჭაჭის ოყნა გევიკეთე, დილიდან კი ფეხები მიკანკალებს და უკანალი მისკდება!

— **ბიჭო,** რაც ჭიჭიკიას წიგნი არ წოუკითხავს, ყველა ერთად რო დააწყო, სამი საჯარო ბიბლიოთეკა გამოვა და კიდო დარჩება!

* * *

— **ალო,** „სასწრაფოა“?

— დიახ, გისმენთ!

— ჩემი ნომერი დაგეწერათ, გადმომირეკეთ, თორემ მობილურიდან გელაპარაკებით!..

* * *

— **მიშველეთ** ექიმო, ძალიან მეშინია, ვფიქრობ ჭკუაზე გადავდივარ!

— დამშვიდდით, რაშია საქმე?

— რაში და ეს ბოლო სამი დღეა მეჩვენება, რომ ყველაფერს, რასაც ცოლი მეუბნება, რაღაც აზრი აქვს!..

* * *

— **მამიკო,** მამიკო, შეიძლება ტელევიზორს ვუყურო?

— უყურე, უყურე, ოღონდ ჩართვა არ გაბედო!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24